დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი
2025

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	აბდულ რაუფი, ვიტენბორგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინე ნაცვლიშვილი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვაჟა კელიხაშვილი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი	მაგისტრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[1]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [2]	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 7/18/2018 № 81	აკრედიტებული 6/13/2019 № 129

[1] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

2 (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[3]**

2011 წლიდან უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს: საბაკალავრო პროგრამებია: სამართალი, ბიზნესის ორგანიზაცია და მენეჯმენტი, ტურიზმი, ჟურნალისტიკა და ინგლისური ფილოლოგია; ერთსაფეხურიანი პროგრამები მედიცინასა და სტომატოლოგიაში; სამაგისტრო პროგრამებია: სისხლის სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება, ჟურნალისტიკა და ინგლისური ფილოლოგია; სადოქტორო პროგრამებია მედიცინასა და ეკონომიკაში. 2018 წლის 18 ივლისს გადაწყვეტილება #81-ით განხორციელდა "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის რეაკრედიტაცია, ხოლო 2019 წლის 13 ივნისს გადაწყვეტილება #129-ით განხორციელდა "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაცია.

საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში მოიცავს სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსებს (30 კრედიტი), სპეციალობის სავალდებულო კურსებს (160 კრედიტი) და სპეციალობის არჩევითი კურსებს/თავისუფალ კომპონენტს (40 კრედიტი). სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში მოიცავს სავალდებულო კურსებს (65 კრედიტი), პრაქტიკულ კომპონენტს (10 კრედიტი), კვლევით კომპონენტს (30 კრედიტი) და არჩევით კურსებს/თავისუფალ კომპონენტს (15 კრედიტი).

ორივე პროგრამა მომზადებულია ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად (უმაღლესი განათლების I და II საფეხური, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონე, 2023). შესაბამისად, ორივე პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მიცემას და ითვალისწინებს ფუნქციურ და დარგობრივ სპეციფიკას შემდეგ სფეროებში: ბიზნესის პოლიტიკა და სტრატეგია, მეწარმეობა და ინოვაცია, ოპერაციები, ადამიანური რესურსები, ბიზნეს გარემო, ბაზრები და ეკონომიკა, ფინანსები, კომუნიკაციები, მარკეტინგი, ბიზნეს ეთიკა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარება. პროგრამები აკმაყოფილებს დარგობრივ მახასიათებელში შესაბამისი დონისთვის განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სდასუ-ში "ბიზნესის ადმინისტრირების" პროგრამების კლასტერის შეფასების აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12-13 სექტემბერს. შეფასება განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპერტი, ჯგუფში შედიოდნენ დარგის სპეციალისტები საქართველოდან, დამსაქმებელთა წარმომადგენელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი და სტუდენტი ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფს თან ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორი წარმომადგენელი.

ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერში გაერთიანებული იყო ორი პროგრამა

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

[3] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტებს მიეწოდათ ყველა საჭირო შესაფასებელი დოკუმენტი და გაიმართა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ჯგუფმა განიხილა პირველადი მიგნებები, გადაინაწილა დავალებები და დაიგეგმა ვიზიტი.
შეფასების პროცესი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ნაშრომის ხელმძღვანელებთან. მათ ასევე დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის ბიბლიოთეკა.
ვიზიტი მიმდინარეობდა თანამშრომლობით და ღია ატმოსფეროში, რამაც ხელი შეუწყო ექსპერტების მუშაობას. დაწესებულებამ ეფექტურად უზრუნველყო ვიზიტის მართვა და ექსპერტთა ჯგუფი მაღალ შეფასებას აძლევს მათ თანამშრომლობისთვის.
მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია დაწესებულების მიერ დროულად იქნა წარმოდგენილი.
ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო პირველადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე

სტანდარტი 1. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.1 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.2 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.3 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.4 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.5 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII დონე

სტანდარტი 1. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.1 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.2 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.3 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.4 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1.5 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

სტანდარტი 2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2.1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2.3 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე

სტანდარტი 2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 2.1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2.2 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2.3 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე

სტანდარტი 3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 3.1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3.2 არ ეხება

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე

სტანდარტი 3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 3.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1. სტანდარტი 3.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე

სტანდარტი 4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4.2 არ ეხება
- სტანდარტი 4.3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4.5 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე

სტანდარტი 4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4.3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4.5 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე

სტანდარტი 5 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 5.1 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5.3 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე

სტანდარტი 5 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 5.1 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5.3 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

ზოგადი რეკომენდაციები

სტანდარტი 1
სტანდარტი 1.3 რეკომენდებულია უფრო დეტალური და მკაფიო შეფასების გეგმის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება თითოეული შეფასების კონკრეტული მეთოდი, პერიოდულობა და პასუხისმგებელი მხარეები.

სტანდარტი 1.5 რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატური გადახედვის პროცესის დანერგვა, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე დარგის ექსპერტების ჩართულობით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების თანამედროვეობა და შესაბამისობა ინდუსტრიის საჭიროებებთან.

სტანდარტი 1.5 რეკომენდებულია სასწავლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების უფრო სტრუქტურირებული მიდგომის შემუშავება, კერძოდ: უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და სასწავლო კურსებში საერთაშორისო ქეისებისა და კვლევების შედეგების ინტეგრირება.

სტანდარტი 2
სტანდარტი 2.1 რეკომენდებულია პროგრამებზე დაშვების წინაპირობების მკაფიოდ ჩამოყალიბება და დეტალურად განსაზღვრა იმ მინიმალური საგნობრივი ცოდნისა და უნარების, რომლებიც აუცილებელია პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და პროგრამებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტი 2.3 რეკომენდებულია სანდო და ვალიდური სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება კურსის/პროგრამის შინაარსთან და გაცხადებულ სწავლის შედეგებთან. რეკომენდებულია პროგრამებისა და სილაბუსების გადახედვა გამოყენებული აქტივობებისა და დავალებების ანალიზის კუთხით, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების/სტრატეგიების დეტალური აღწერა.

სტანდარტი 3
პროგრამა 3.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.

სტანდარტი 3.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გაზარდოს გაცვლით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად.

სტანდარტი 4

სტანდარტი 4.1 სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამები საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც საფუძველს იძლევა ითქვას, რომ პროგრამის ადამიანური რესურსი საჭიროებს დახვეწას, რისთვისაც უსდ-მ უნდა დაგეგმოს თანამშრომლებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდებზე.

სტანდარტი 4.5 რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და გადახედოს პროგრამების ბიუჯეტებს.

სტანდარტი 5

სტანდარტი 5.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამების თვითშეფასების პროცესებში სრულად და ამომწურავად გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე დაგეგმოს აქტივობები და ვადები გასაუმჯობესებელი სფეროებისთვის.

სტანდარტი 5.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სრულად დანერგოს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპი ყოველდღიურ საქმიანობაში და ჩაატაროს SWOT ანალიზი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, როგორც ეს უნივერსიტეტის რეგულაციებშია მითითებული.

სტანდარტი 5.1 რეკომენდებულია ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების/ინსტრუმენტების შემუშავება, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირების უზრუნველყოფა და მათი სათანადოდ განხორციელება.

პროგრამა 5.2 რეკომენდებულია პროგრამული აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გათვალისწინება.

სტანდარტი 5.2 რეკომენდებულია პროგრამების გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფა როგორც უცხოელი კოლეგების, ასევე უცხოელი/ადგილობრივი დარგის პროფესიონალების მხრიდან.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია პროგრამების ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმი.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად და ეფექტურად განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგების გამოყენება.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმი.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებული დაწესებულებამ ჩაატაროს მსგავს უცხოურ პროგრამებთან შედარებითი/საორიენტაციო ანალიზი უნივერსიტეტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასანერგად.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია, სტუდენტებმა შეაფასონ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) ძირითადი საგანმანათლებლო კურსი / საგანი თითოეული კურსის ბოლოს.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია პროგრამამ უზრუნველყოს, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

რეკომენდაციები

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე

სტანდარტი 1

სტანდარტი 1.1 რეკომენდებულია მიზნები უფრო კონრეტული იყოს გაზომვადი შედეგებით.
სტანდარტი 1.1 რეკომენდებულია მეტი ყურადღება დაეთმოს საერთაშორისო ასპექტებს, ბიზნეს სფეროს სულ უფრო გლობალური ხასიათიდან გამომდინარე.
სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამეწარმეო უნარ-ჩვევები და აზროვნება, რომლებიც ამჟამად მიზნებში არ არის ასახული.

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს თეორიების გამოყენებას რეალური ბიზნესის სცენარებისთვის.

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს ციფრულ წიგნიერებაზე და ბიზნესში მზარდ ტექნოლოგიებზე, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტზე (AI) და მონაცემთა ანალიტიკაზე.

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია ზოგიერთი სწავლის შედეგი (PLO) უფრო სპეციფიკური გახდეს გაზომვადი შედეგებით.

სტანდარტი 1.2. რეკომენდებულია სწავლის შედეგებში მეტი აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ბიზნესის კონცეფციებსა და სპეციფიკურ კულტურათაშორის კომპეტენციებზე.

სტანდარტი 1.4 რეკომენდებულია სავალდებულო კვლევითი პროექტის ან დისერტაციის შემოღება, რათა უკეთ მოამზადოს სტუდენტები შემდგომი სწავლისა თუ კვლევითი კარიერისთვის.

სტანდარტი 2

სტანდარტი 2.1 რეკომენდებულია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და დეტალურად განისაზღვროს შესაბამისი მინიმალური საგნობრივი ცოდნა და უნარები (მაგ. მათემატიკაში, უცხო ენაში და ა.შ.), რაც საჭიროა ამ საბაკალავრო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

რეკომენდაციები

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე

სტანდარტი 1

სტანდარტი 1.1 რეკომენდებულია მიზნების ფორმულირების გადახედვა წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით. რეკომენდებულია ზოგიერთი მიზნის სამაგისტრო დონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, სტრატეგიული აზროვნებისა და ლიდერული უნარების განვითარებასთან, რაც დამახასიათებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის.

სტანდარტი 1.1 რეკომენდებულია მიზნების გადახედვა, რადგან მათში არ არის მკაფიოდ ასახული თანამედროვე ბიზნესის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა, ინოვაციები და მეწარმეობა. ასევე სასურველია მდგრადი განვითარებისა და გლობალური პერსპექტივების გათვალისწინებაც.

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია სწავლის შედეგების გაზომვადი ფორმით ჩამოყალიბება, ზემოთ მოცემული ანალიზის შესაბამისად.

სტანდარტი 1.4 რეკომენდებულია უფრო დაბალანსებული მიდგომა გაზრდილი არჩევითი საგნების შეთავაზებით, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ანალიტიკის მიმართულებით, რაც უკეთ უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას სტუდენტების მრავალფეროვან საჭიროებებთან და დინამიურად ცვალებადი ბიზნესის სამყაროს მოთხოვნებთან.

სტანდარტი 1.5 რეკომენდებულია შემუშავდეს და განხორციელდეს მკაფიო სამიზნე ნიშნულების სტრატეგია, რომელიც გამყარებული იქნება მტკიცებულებებითა და ანალიზით ასეთი აკრედიტაციებისთვის.

სტანდარტი 2

სტანდარტი 2.1 რეკომენდებულია პროგრამაზე მიღების შიდა პროცედურების (შიდა გამოცდა, გასაუბრება) შესახებ ინფორმაციის მკაფიოდ ჩამოყალიბება და მინიმალური საგნობრივი ცოდნისა და უნარების დეტალურად განსაზღვრა (მაგ., ბიზნესისა და მენეჯმენტის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ეკონომიკის და სხვა), რაც აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტი 2.2 რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის თემების შერჩევისა და დამტკიცების წესები და მიდგომები, აგრეთვე აკადემიური ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელთა შერჩევა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარები.

სტანდარტი 3

სტანდარტი 3.2 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა, ხელმძღვანელებთან ერთად, გაზარდოს კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომებში.

სტანდარტი 4
სტანდარტი 4.2 რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა გააძლიერონ მუშაობა სტუდენტებთან, რათა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ნაშრომების მომზადება. ამასთან, სამაგისტრო დონის შესაბამისად, ნაშრომებში მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგია.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

ზოგადი რჩევ(ები)ა:

სტანდარტი 1

სტანდარტი 1.1 სასურველია პროგრამების გასაუმჯობესებლად მიზნების გადახედვა უფრო კონკრეტული და გაზომვადი შედეგების გათვალისწინებით.

პროგრამა 1.1 სასურველია ორივე პროგრამაში, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, აისახოს ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, გლობალური ბიზნეს პრაქტიკისა და კულტურათაშორისი კომპეტენციების მიზნების ჩართვით.

სტანდარტი 1.2 სასურველია, მოხდეს ციფრული უნარებისა და ბიზნესში ახალი ტექნოლოგიების უფრო მკაფიო ინტეგრირება.

სტანდარტი 1.2 სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს მდგრადი განვითარებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამაში. სწავლის შედეგებში უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს თანამედროვე ბიზნესის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა ინოვაციები და მეწარმეობა.

სტანდარტი 1.3 სასურველია, მოხდეს პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამის დანერგვა. ეს პროგრამა უნდა შეიცავდეს ვორკშოპებს, სემინარებსა და პრაქტიკულ ტრენინგებს, რომლებიც მიმართული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდების დაუფლებაზე.

სტანდარტი 2
სტანდარტი 2.4 სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა ნიშნის გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

სტანდარტი 3

სტანდარტი 3.1 სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს უნივერსიტეტში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების რაოდენობა.

სტანდარტი 4
სტანდარტი 4.3 სასურველია დაწესებულებამ გაზარდოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო აქტივობებსა და კვლევით პროექტებში.

სტანდარტი 4.4 სასურველია უნივერსიტეტამ შექმნას ინოვაციებისა და მეწარმეობის ჰაბი/ლაბორატორია ტრანსფერული უნარების განვითარების მხარდასაჭერად, რაც საფუძვლად დაედება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში ინოვაციური კურსების დანერგვას.

რჩევები

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე

სტანდარტი 1

სტანდარტი 1.4 სასურველია შემცირდეს სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და მოხდეს მეტი სპეციალიზებული არჩევითი კურსების ან კონცენტრაციების შეთავაზება.

სტანდარტი 1.4 სასურველია კურსის შინაარსის, კომპეტენციებისა და საბოლოო კვალიფიკაციას შორის იყოს მკაფიო შესაბამისობა.

სტანდარტი 1.5 სასურველია, პროცესის გამჭვირვალობისა და სიცხადისთვის შესაბამისობის რუკა მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

სტანდარტი 1.5 სასურველია ყველა მოდულის/კურსის აღწერილობას ჰქონდეს განახლებული სასწავლო ლიტერატურა.

სტანდარტი 2

სტანდარტი 2.2 სასურველია საბაკალავრო ნაშრომი განიხილებოდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტად, რომელიც სტუდენტებს მისცემს კომპლექსური საკითხების კვლევის, დარგობრივი კვლევითი უნარების განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. შესაბამისად, ეს კომპონენტი უნდა განისაზღვროს როგორც ძირითადი სავალდებულო კურსი.

სტანდარტი 2.2 სასურველია პრაქტიკული პროექტების განხორციელება, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის.

რჩევები

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე

სტანდარტი 1

სტანდარტი 1.1 სასურველია აღწეროთ მიზნები უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად.
სტანდარტი 1.2 სასურველია შედეგების უმეტესობის გადახედვა მათი მნიშვნელობის მკაფიოდ გადმოსაცემად, რადგან ისინი ჩამოყალიბებულია რთული, გრძელი წინადადებებით. ეს შესაძლოა ქართულიდან ინგლისურ ენაზე ცუდი თარგმანის შედეგი იყოს.

სტანდარტი 1.4 სასურველია, გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით.

სტანდარტი 1.5 მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობა გვთავაზობს სასწავლო კურსის შედეგების პროგრამის შედეგებთან შესაბამისობის ზოგად ჩარჩოს, იგი არ იძლევა კონკრეტულ მაგალითებს ან მეტრიკებს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა ან იზომება ეს შესაბამისობა.

სტანდარტი 1.5 მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობაში ნახსენებია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, მასში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია კონკრეტული შეფასების მეთოდების შესახებ, ან იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება შეფასების პროცესის ვალიდურობა და სანდოობის უზრუნველყოფა.

სტანდარტი 2

სტანდარტი 2.2 სასურველია სამაგისტრო ნაშრომები მიმართული იყოს რეალური კვლევის წარმოებაზე, შესაბამისი კვლევის დიზაინის გამოყენებაზე, კომპლექსური იდეების შეფასებასა და კვლევის მიგნებების შესახებ ეფექტურ კომუნიკაციაზე.

სტანდარტი 3

სტანდარტი 3.2 სასურველია, უნივერსიტეტმა დანერგოს პლაგიატის პროგრამა, რომელიც ასევე გამოავლენს ხელოვნური ინტელექტის კომპონენტებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

სტანდარტი 1

პირველი სტანდარტის ზოგად რეკომენდაციაში ცვლილებები არ შედის, რადგან უსდ ნაწილობრივ ეთანხმება ყველა ამ რეკომენდაციას და ექსპერტთა ჯგუფმა მკაფიო შეხედულებები წარმოადგინა ანალიზში.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას და ძალაში ტოვებს პირველი პროგრამისთვის მიწოდებულ რეკომენდაციას, რადგანაც ანალიზში მოცემულია მკაფიო ახსნა-განმარტება 1.1 ქვესტანდარტის სახით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ამოიღო 1.1.3 და 1.1.5 რეკომენდაციები, ხოლო 1.1.4 გადაიტანა პროგრამის სწავლის შედეგების 1.2 კომპონენტში.

მეორე პროგრამაში 1.1.1 რეკომენდაცია შერწყმულია 1.1.2-თან, რადგან ორივე შესაბამისია და მათი მკაფიო დასაბუთება მოცემულია ანალიზის ნაწილში. უსდ ნაწილობრივ ეთანხმება 1.1.3

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

რეკომენდაციას და ექსპერტთა ჯგუფი მაინც მიიჩნევს, რომ ის მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ამგვარად, ამ რეკომენდაციაში ცვლილება არ შედის.

რაც შეეხება 1.2 კომპონენტს, მასში რეკომენდაცია 1.2.1 ამოღებულია, მაგრამ ყველა სხვა რეკომენდაცია რჩება ძალაში, რამდენადაც ისინი აქტუალურია და მკაფიო დასაბუთება მოცემულია ანალიზის ნაწილში. უსდ სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება რეკომენდაციების უმეტესობას, გარდა ერთისა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია ყველა რეკომენდაციის ძალაში დატოვება ორივე პროგრამის 1.2 კომპონენტისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას და ძალაში ტოვებს ორივე პროგრამის 1.4 კომპონენტისთვის მოწოდებულ რეკომენდაციას, რადგან ამ კომპონენტების ანალიზში მოწოდებულია მკაფიო ახსნა-განმარტება.

სტანდარტი 2

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით განიხილა სდასუს-ს არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი გაკვირვებულია ამ სტანდარტის თაობაზე არგუმენტირებული პოზიციით, რადგან პერსონალთან, განსაკუთრებით, პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას, ასევე, ნაკლოვანებების აღნიშვნისას თუ პირველადი დასკვნების წარმოდგენისას, დაწესებულებამ მოიწონა დასკვნები და გამოთქვა მზადყოფნა პროგრამების გასაუმჯობესებლად. თუმცა, არგუმენტირებული პოზიცია, როგორც ჩანს, უგულებელყოფს იმ ასპექტებს, რომლებიც ვიზიტის დროს წამოიჭრა და დაწესებულების მხრიდან დადასტურდა.

რაც შეეხება 2.1 სტანდარტს: „რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების პირობების მკაფიოდ ჩამოყალიბება და იმ მინიმალური საგნობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დეტალურად განსაზღვრა, რაც საჭიროა პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად და განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად“. ორივე –საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაში ფორმალურად არის განსაზღვრული „დამატებითი წინაპირობები“, თუმცა მათ მკაფიო განმარტება სჭირდება. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამაში არ არის განსაზღვრული, რა საგნები უნდა ჩააბარონ აბიტურიენტებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ანუ პროგრამაში ჩარიცხვისთვის, რომელი სავალდებულო საგნები უნდა ჩააბაროს აბიტურიენტმა და რა არის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. უფრო მეტიც, უცხო ენასთან დაკავშირებით არაფერია ნახსენები (ინგლისური სავალდებულოა ერთ-ერთ ამ უცხო ენასთან ერთად: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული). გარდა ამისა, რა მოხდება, თუკი ვინმე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხება უნივერსიტეტში? სავალდებულოა თუ არა, რომ აბიტურიენტმა აჩვენოს ქართული ენის ცოდნა B2 დონეზე? თანამშრომლებთან გასაუბრებისას არავის დაუზუსტებია, შეიმუშავა თუ არა სდასუ-მ რაიმე სახის დებულება ან წესი უნივერსიტეტის სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრისთვის. უფრო მეტიც, რა მოხდება, თუ ვინმე დაადასტურებს უცხო ენის ცოდნას B2 დონეზე?

მსგავსი კითხვები ჩნდება სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებითაც. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის დაშვების პირობები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რათა დეტალურად განისაზღვროს პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო მინიმალური საგნობრივი ცოდნა და უნარები.

თუმცა, რეკომენდაციების გამეორების თავიდან ასაცილებლად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა ამოეღო რეკომენდაცია 2.1 კლასტერის ზოგადი რეკომენდაციიდან და გადაიტანა იგი კლასტერის რჩევებში. პროგრამის კონკრეტული რეკომენდაციები უცვლელი რჩება, რადგან ანალიზში მოცემულია

მკაფიო დასაბუთება და განმარტებები. დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება 2.3. კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას და ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ის არ უნდა შეიცვალოს.

სტანდარტი 3

რაც შეეხება მე-3 სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ერთი რეკომენდაცია სამეცნიერო საქმიანობის შესახებ გადაიტანა რჩევებში, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციიდან გამომდინარე. ამ სტანდარტში ცვლილებები არ განხორციელებულა, რადგან უნივერსიტეტი სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება რეკომენდაციებს.

რეკომენდაციები განახლებული სახით მოცემულია რეკომენდაციების შეჯამებაში, ანგარიშის დასაწყისში, რათა ყველა საბოლოო სტანდარტის რეკომენდაცია/რჩევა სწორად იყოს წარმოდგენილი შეჯამებაშიც.

სტანდარტი 4

რაც შეეხება მე-4 სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით შეისწავლა სდასუს არგუმენტირებული პოზიცია. ყველა რეკომენდაცია უცვლელი რჩება ამ სტანდარტთან მიმართებით. მე-4 სტანდარტის ნარატიულ ნაწილში ნათლად არის ახსნილი, თუ რატომ გაიცა ეს რეკომენდაციები.

სტანდარტი 5

რაც შეეხება მე-5 სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით შეისწავლა სდასუს არგუმენტირებული პოზიცია. ყველა რეკომენდაცია უცვლელი რჩება ამ სტანდარტისთვის. მე-5 სტანდარტის ნარატიულ ნაწილში ნათლად არის ახსნილი, თუ რატომ გაიცა ეს რეკომენდაციები. ვიზიტის დროს (2024 წლის 12-13 სექტემბერი) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებულ გასაუბრებებზე უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც მოვითხოვეთ. შესაძლოა, დაწესებულებაში ჩვენი ვიზიტის შემდეგ ყველაფერი გაუმჯობესდა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი ვერ განიხილავს ვიზიტის შემდეგ არსებულ გარემოებებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2011 წლიდან უნივერსიტეტი ახორციელებს რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის ბიზნესის საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებს. 2018 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება #81-ით განხორციელდა "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის რეაკრედიტაცია, ხოლო 2019 წლის 13 ივნისს გადაწყვეტილება #129-ით განხორციელდა "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაცია. საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში აერთიანებს სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსებს (30 კრედიტი), სპეციალობის სავალდებულო კურსებს (160 კრედიტი) და სპეციალობის არჩევით კურსებს/თავისუფალ კომპონენტს (40 კრედიტი). ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა აერთიანებს სავალდებულო კურსებს (65 კრედიტი), პრაქტიკულ კომპონენტს (10 კრედიტი), კვლევით კომპონენტს (30 კრედიტი) და არჩევით კურსებს/თავისუფალ კომპონენტს (15 კრედიტი).

ორივე პროგრამა მომზადებულია ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად (უმაღლესი განათლების I და II საფეხური, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII

დონე, 2023). შესაბამისად, ორივე პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მიცემას და ითვალისწინებს ფუნქციურ და დარგობრივ სპეციფიკას შემდეგ სფეროებში: ბიზნეს პოლიტიკა და სტრატეგია, მეწარმეობა და ინოვაცია, ოპერაციები, ადამიანური რესურსები, ბიზნეს გარემო, ბაზრები და ეკონომიკა, ფინანსები, კომუნიკაციები, მარკეტინგი, ბიზნეს ეთიკა, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარება. პროგრამები ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებელში შესაბამისი საფეხურისთვის განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს სწავლის შედეგებთან მიმართებით.

აკრედიტაციის შემდეგ მაგისტრატურის საფეხურზე განხორციელდა შემდეგი ცვლილება: "მარკეტინგის მენეჯმენტი" როგორც ცალკე კურსი შეთავაზებულია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. საგანი "მმართველობითი აღრიცხვა" შეიცვალა კურსით "ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა დონე II" დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით; საგანი "ფინანსური ანგარიშგება" შეიცვალა საგნით "ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება"; საგანი "ინოვაციური მენეჯმენტი" არჩევითი კომპონენტიდან გადავიდა სავალდებულოში; დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - 21 ქულა შეიცვალა 25 ქულით.

ბაკალავრიატის პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: საგანი "ალბათობის თეორია" შეიცვალა საგნით "ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა"; სავალდებულო კომპონენტს დაემატა ახალი საგანი "პროექტის მართვის საფუძვლები"; სასწავლო კურსს "ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები" შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: "შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში". კლასტერის მოთხოვნების გათვალისწინებით, საგნებს "ფინანსური აღრიცხვა" და "მმართველობითი აღრიცხვა" შეეცვალათ სახელწოდებები შემდეგნაირად: "ფინანსური აღრიცხვა დონე I", "მმართველობითი აღრიცხვა დონე I". საბაკალავრო ნაშრომი გადავიდა სავალდებულო კომპონენტიდან არჩევით კომპონენტში და მისი არჩევის შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის სტუდენტს ათვისებული ჰქონდეს 230 კრედიტი, ხელმძღვანელის დასკვნა და ანტიპლაგიატის დასკვნა, ასევე რეცენზენტის შეფასება.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[5]
2. კლასტერული შეფასება[6]

[5] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[6] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების მიზანია კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადება ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრებისთვის, რაც პასუხობს სტანდარტის მოთხოვნას ბაზრის უნარებისა და კომპეტენციების მოთხოვნების გათვალისწინების შესახებ. პროგრამის მიზნები ასახავს კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური უნარებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანი კომპეტენციებია ბიზნესისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში. ზოგადად, პროგრამების მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ ამოცანებს, რომლებიც ფოკუსირებულია ინოვაციების, შემოქმედებითობის შეზღუდულ ასპექტებზე და სტუდენტების მომზადებაზე მომავალი გამოწვევების შემცველი ბიზნეს გარემოსთვის.

ეს თანხვედრა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას სდასუ-ს მისიასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში. მიზნები ასევე ხაზს უსვამს პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობის განვითარებას, თუმცა საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მხრივ მხოლოდ მცირე მინიშნებებია, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას საზოგადოებრივი წვლილის შესახებ.

პროგრამების გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია მიზნების გადახედვა, რათა მასში გამოჩნდეს უფრო კონკრეტული, გაზომვადი შედეგები. მაგალითად, მაგისტრატურის პროგრამაში "ღრმა და

სისტემური ცოდნის" ზოგადი მითითების ნაცვლად, შესაძლებელია კონკრეტულად განისაზღვროს ის ძირითადი კომპეტენციების სფეროები, გამოცდილება ან კონკრეტული ანალიტიკური ინსტრუმენტები, რომლებსაც კურსდამთავრებულები დაეუფლებიან. მეტიც, ორივე პროგრამისთვის სასარგებლო იქნებოდა ინტერნაციონალიზაციის ასპექტების მკაფიოდ გათვალისწინება, როგორც ამას სტანდარტი მოითხოვს, გლობალურ ბიზნეს პრაქტიკასთან ან კულტურათაშორის კომპეტენციებთან დაკავშირებული მიზნების ჩართვის გზით. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც განიხილებოდა ექსპერტთა ვიზიტის დროს. ზოგადად, სდასუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები მეტწილად შეესაბამება 1.1 სტანდარტის მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

პროგრამის მიზნები მყარ საფუძველს ქმნის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის. ისინი მოიცავს მრავალ მნიშვნელოვან სფეროს, მათ შორის ცოდნის შეძენას, კრიტიკულ აზროვნებას, პრაქტიკულ უნარებს და ეთიკურ საკითხებს. თუმცა, ეს მიზნები საჭიროებს დახვეწას. მათში უნდა აისახოს: ბიზნესის უახლესი მიმართულებების უფრო კონკრეტული ფორმულირება, (ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტი, მდგრადი განვითარება), და ისეთი მნიშვნელოვანი უნარების მკაფიოდ განსაზღვრა, როგორიცაა კომუნიკაცია და რაოდენობრივი ანალიზი. ამასთან, საერთაშორისო ბიზნესისა და მეწარმეობის საკითხებზე მეტი აქცენტი კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამის აქტუალობას თანამედროვე გლობალურ ბიზნეს გარემოში.

თანამედროვე ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზნებში უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს უახლესი ტექნოლოგიური ტენდენციები, რომლებიც მოიცავს სამომავლო ბიზნეს გარემოს მოთხოვნებს. აქ არ არის მკაფიოდ ნახსენები სამეწარმეო უნარები და აზროვნება, რაც სულ უფრო ღირებული და მოთხოვნადია ბიზნეს სამყაროში, განსაკუთრებით როდესაც ვაკვირდებით მსგავს კონკურენტულ საბაკალავრო პროგრამებს. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამის მიზანი - "პროფესიული, პირადი და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდების მომზადება" - შეიძლება უფრო კონკრეტული იყოს იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება ამ უნარების განვითარება სხვადასხვა საგნის ფარგლებში და როგორ გამოიყენებენ სტუდენტები მათ რეალურ ბიზნეს გარემოში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დონე VII

პროგრამის მიზნებს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის აქვს გარკვეული ძლიერი მხარეები, მაგრამ ასევე არის რამდენიმე საკითხი, რომელიც შეიძლება გაუმჯობესდეს. მიზნები მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის მნიშვნელოვან სფეროებს, მათ შორის ბიზნეს გარემოს, მენეჯმენტს, მარკეტინგს, ფინანსებსა და ბუღალტრულ ანალიზს. აქცენტი კეთდება როგორც ცოდნის მიღებაზე, ასევე უნარების განვითარებაზე, რაც შესაფერისია სამაგისტრო დონის პროგრამისთვის. პროგრამის მიზნებია მოამზადოს სტუდენტები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კონტექსტისთვის, რაც მნიშვნელოვანია დღევანდელ გლობალიზებულ ბიზნეს სამყაროში.

ზოგიერთი დასახული მიზნის კონკრეტულად შეფასება რთული იქნებოდა, მაგალითად, როგორ შეფასდება "დაგეგმვის სურვილი" ან "მონაწილეობის მოტივაცია"; მიზანი "ცვლილებებისთვის მზადყოფნის" შესახებ უკიდურესად ბუნდოვანი და გაუზომვადია. ეფექტური იქნებოდა პროგრამის ზოგიერთი მიზნის უფრო კონკრეტული და ზუსტი ფორმულირება. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამის მიზანი - "დარგობრივი კომპეტენციების განახლებისთვის საჭიროებების დაგეგმვის სურვილი" - ბუნდოვანია და მოითხოვს ხელახალ ფორმულირებას, რათა უფრო მკაფიოდ გამოიხატოს კონკრეტული უნარები და ცოდნის სფეროები, რომლებიც განახლდება.

ეს და სხვა მიზნები საჭიროებს ხელახლა ფორმულირებას, შემოთავაზებული რჩევებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ზოგიერთი მიზანი სრულად არ შეესაბამება სამაგისტრო დონის მოთხოვნებს, მაგალითად, "ბიზნეს გარემოს შეფასების უნარი" შეიძლება ზედმეტად მარტივი იყოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის დამატებითი დაკონკრეტების გარეშე. შეზღუდულია აქცენტი მაღალი დონის ანალიტიკური უნარების, სტრატეგიული აზროვნების და ლიდერობის განვითარებაზე, რაც ტიპურად მოსალოდნელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებში.

მიუხედავად იმისა, რომ მოიცავს ბიზნესის ძირითად სფეროებს, მიზნებში არ არის მკაფიოდ ნახსენები ისეთი მნიშვნელოვანი თანამედროვე ბიზნესის თემები, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა, ინოვაციები თუ მეწარმეობა. მდგრადი განვითარება და გლობალური პერსპექტივები შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ იყოს წარმოჩენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ გასაუბრებები ექსპერტთა ჯგუფთან
- ✓ საქაღალდე „დანართი 17“ (დანართი 17)
- ✓ შპს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს უნივერსიტეტის მისია https:// sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#mission
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი 2025-2031;
- ✓ სამოქმედო გეგმის პროექტი (2025-2027)
- ✓ უმაღლეს სასწავლებლებში ვიზიტი და ჯგუფის ინტერვიუები
- ✓ საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში;
- ✓ სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში;
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https:// sdasu.edu.ge/en/about-us/#qas
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
- ✓ შესაბამისი ადგილობრივი და უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის/საორიენტაციო ნიშნულების დოკუმენტი
- ✓ სასწავლო პროცესის რეგულაციები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
- ✓ პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება
- ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები
- ✓ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რჩევები:

სტანდარტი 1.1 სასურველია პროგრამების გასაუმჯობესებლად მიზნების გადახედვა უფრო კონკრეტული და გაზომვადი შედეგების გათვალისწინებით.

პროგრამა 1.1 სასურველია ორივე პროგრამაში, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, აისახოს ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, გლობალური ბიზნეს პრაქტიკისა და კულტურათაშორისი კომპეტენციების მიზნების ჩართვით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.1 რეკომენდებულია მიზნები უფრო კონრეტული იყოს გაზომვადი შედეგებით.
სტანდარტი 1.1 რეკომენდებულია მეტი ყურადღება დაეთმოს საერთაშორისო ასპექტებს, ბიზნეს სფეროს სულ უფრო გლობალური ხასიათიდან გამომდინარე.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.1 რეკომენდებულია მიზნების ფორმულირების გადახედვა წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით. რეკომენდებულია ზოგიერთი მიზნის სამაგისტრო დონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, სტრატეგიული აზროვნებისა და ლიდერული უნარების განვითარებასთან, რაც დამახასიათებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის.

სტანდარტი 1.1 რეკომენდებულია მიზნების გადახედვა, რადგან მათში არ არის მკაფიოდ ასახული თანამედროვე ბიზნესის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა, ინოვაციები და მეწარმეობა. ასევე სასურველია მდგრადი განვითარებისა და გლობალური პერსპექტივების გათვალისწინებაც.

რჩევები:

სტანდარტი 1.1 სასურველია აღწეროთ მიზნები უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად.

შეფასება[7]

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	☐	☐	X	☐
პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	☐	☐	X	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები აკმაყოფილებს 1.2 სტანდარტის მოთხოვნებს. ორივე პროგრამას აქვს სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად უკავშირდება მათი პროგრამის მიზნებსა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციფიკას. საბაკალავრო პროგრამის შედეგები მოიცავს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულებისთვის. ეს მოიცავს თეორიებისა და კონცეფციების გაგებას, კრიტიკულ აზროვნებას, გადაწყვეტილების მიღებას, კვლევით უნარებს, პრობლემის გადაჭრას, კომუნიკაციის უნარებს, ეთიკურ საკითხებს და პროფესიული განვითარების დაგეგმვას. სწავლის ეს შედეგები კარგად

---

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მყარ საფუძველს ქმნის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საწყისი პოზიციებისთვის.

სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება საბაკალავრო პროგრამის შედეგებს და გვთავაზობს უფრო მაღალი დონისა და სპეციალიზებულ კომპეტენციებს. პროგრამა ხაზს უსვამს მულტიდისციპლინურ მეთოდებს, თუმცა მასში შეზღუდულადაა წარმოდგენილი მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მიდგომები, ლიდერობის უნარები, რისკების შეფასება, კომპლექსური ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და საერთაშორისო ბიზნეს ეთიკის ნორმების დაცვა. სწავლის ეს შედეგები ასახავს გამოცდილების უფრო მაღალ დონეს და შესაფერისია კურსდამთავრებულების მოსამზადებლად ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ლიდერული როლებისთვის.
მნიშვნელოვანია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ციფრულ უნარებსა და ბიზნესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, რადგან ეს უნარები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ბიზნეს გარემოში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჯგუფთან ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ ორივე პროგრამას აკლია ეს ასპექტი როგორც პროგრამის შედეგებში, ისე სასწავლო გეგმაში. ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, გააძლიეროს აქცენტი მდგრად განვითარებასა და კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამაში, რათა შეესაბამებოდეს გლობალური ბიზნესის მზარდ ტენდენციებსა და მოლოდინებს. თანამედროვე ბიზნესის ისეთი ასპექტები, როგორიცაა ინოვაცია და მეწარმეობა, უფრო თვალსაჩინოდ უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებში.

ორივე პროგრამა აჩვენებს გონივრულ თანმიმდევრულობას სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, მოიცავს ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ძირითად სფეროებს, რაც მოსალოდნელია ბიზნესის ფართო სფეროში.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციისა და ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მიზნებს. ისინი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა თეორიული ცოდნა, კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, კვლევითი უნარები, კომუნიკაცია და ეთიკური პასუხისმგებლობა, რაც რელევანტურია ამ სფეროსთვის.

სწავლის შედეგები ადეკვატურად აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის დონეებს, რომლებსაც სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ. თუმცა, არსებობს გასაუმჯობესებელი სფეროები, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგები ეფექტურად უნდა მოიცავდეს ბიზნესის ადმინისტრირების კონცეფციებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნას. ამასთან, მართალია ნახსენებია კვლევითი, ანალიტიკური და საკომუნიკაციო უნარები, მაგრამ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ბიზნესის ადმინისტრირებისთვის რელევანტურ კონკრეტულ ტექნიკურ და რაოდენობრივ უნარებზე.

როგორც ჩანს, უფრო დიდი აქცენტი კეთდება თეორიულ ცოდნაზე და ნაკლებად პრაქტიკულ გამოყენებაზე. მეტი აქცენტი თეორიების რეალურ ბიზნეს სიტუაციებში გამოყენებაზე გააუმჯობესებდა სწავლის შედეგებს და ეს მკაფიოდ უნდა იყოს ხაზგასმული. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ნახსენებია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ციფრულ წიგნიერებასა და ბიზნესში არსებულ ახალ ტექნოლოგიებზე, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტსა და მონაცემთა ანალიტიკაზე. ზოგიერთი პროგრამის სწავლის შედეგი საკმაოდ ზოგადია და საჭიროებს უფრო კონკრეტულ, გაზომვად შედეგებად ჩამოყალიბებას. მაგალითად, "ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების როლს" უფრო ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული. ბიზნესის მზარდი გლობალური ხასიათის გათვალისწინებით, პროგრამის სწავლის შედეგებში მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს საერთაშორისო ბიზნესის კონცეფციებსა და სპეციფიკურ კულტურათაშორის კომპეტენციებზე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირებაში უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს (აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს) და არასაკმარისად მოიცავს ცოდნასა და უნარებს ბიზნესის ადმინისტრირების ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამეწარმეო საქმიანობა, ინოვაციების მართვა, რესურსებისა და ოპერაციების მენეჯმენტი, ხარისხის მართვა, ლოგისტიკა, მიწოდების ჯაჭვის მართვა, მომხმარებელთან ურთიერთობა და გაყიდვები/რეკლამირება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დონე VII

სწავლის შედეგები მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირებისთვის რელევანტური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ფართო სპექტრს, მათ შორის მენეჯმენტს, მარკეტინგს, ფინანსებს, გადაწყვეტილების მიღებასა და ეთიკას. სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება 1.1 სტანდარტში ჩამოთვლილ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მიზნებს და ასახავს დარგის სპეციფიკას, მათ შორის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მულტიკულტურული ბიზნეს გარემო და გლობალური ფინანსური რისკები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სწავლის შედეგი ეხება სტუდენტების დამოუკიდებლად და ეთიკურად მუშაობის უნარს, მაგალითად, "დამოუკიდებლად გეგმავს უწყვეტი განათლებისთვის საჭირო საჭიროებებს" და "იცავს ბიზნეს ეთიკის საერთაშორისო ნორმებს".

სწავლის შედეგების ზოგიერთი ნაწილი არ არის მკაფიოდ გაზომვადი, რაც ეფექტური სწავლის შედეგების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. მაგალითად, "ხელს უწყობს ამ ღირებულებების დამკვიდრებას ქართულ რეალობაში" ბუნდოვანია და რთულია მისი ობიექტურად შეფასება. სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტთა მიღწევების მკაფიო შეფასება და გაზომვა.

ბევრი შედეგი დაწერილია რთული, გრძელი წინადადებებით, რომლებიც აერთიანებს მრავალ უნარს ან ცოდნის სფეროს. ეს სირთულე სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ართულებს იმის ზუსტად გაგებას, თუ რა არის მოსალოდნელი. ეს შესაძლოა ქართულიდან ინგლისურ ენაზე ცუდი თარგმანის შედეგი იყოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფთან
- ✓ საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში, კურიკულუმი;
- ✓ სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში, კურიკულუმი;
- ✓ საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (სწავლის შედეგების რუკა);
- ✓ სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (სწავლის შედეგების რუკა);
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (სასწავლო კურსების სილაბუსები)
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (სასწავლო კურსების სილაბუსები)
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ შესაბამისი ადგილობრივი და უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის/საორიენტაციო ნიშნულების დოკუმენტი
- ✓ სასწავლო პროცესის რეგულაციები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
- ✓ პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება
- ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები
- ✓ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რჩევები:

სტანდარტი 1.2 სასურველია, მოხდეს ციფრული უნარებისა და ბიზნესში ახალი ტექნოლოგიების უფრო მკაფიო ინტეგრირება.

სტანდარტი 1.2 სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს მდგრადი განვითარებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამაში. სწავლის შედეგებში უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს თანამედროვე ბიზნესის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა ინოვაციები და მეწარმეობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამეწარმეო უნარ-ჩვევები და აზროვნება, რომლებიც ამჟამად მიზნებში არ არის ასახული.

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს თეორიების გამოყენებას რეალური ბიზნესის სცენარებისთვის.

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს ციფრულ წიგნიერებაზე და ბიზნესში მზარდ ტექნოლოგიებზე, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტზე (AI) და მონაცემთა ანალიტიკაზე.

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია ზოგიერთი სწავლის შედეგი (PLO) უფრო სპეციფიკური გახდეს გაზომვადი შედეგებით.

სტანდარტი 1.2. რეკომენდებულია სწავლის შედეგებში მეტი აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ბიზნესის კონცეფციებსა და სპეციფიკურ კულტურათაშორის კომპეტენციებზე.

პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.2 რეკომენდებულია სწავლის შედეგების გაზომვადი ფორმით ჩამოყალიბება, ზემოთ მოცემული ანალიზის შესაბამისად.

რჩევები:
სტანდარტი 1.2 სასურველია შედეგების უმეტესობის გადახედვა მათი მნიშვნელობის მკაფიოდ გადმოსაცემად, რადგან ისინი ჩამოყალიბებულია რთული, გრძელი წინადადებებით. ეს შესაძლოა ქართულიდან ინგლისურ ენაზე ცუდი თარგმანის შედეგი იყოს.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება -	☐	☐	X	☐

საბაკალავრო პროგრამა, VI დონე				
პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	☐	☐	X	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, ზოგადად ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასების მექანიზმები აჩვენებს სწავლის შედეგების შეფასებისადმი სტრუქტურირებულ მიდგომას. თუმცა, არსებობს რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელიც საჭიროებს გადაჭრას 1.3 სტანდარტთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. პირველ რიგში, შეფასების მექანიზმი მეტნაკლებად ბუნდოვანია სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული მეთოდებისა და პერიოდულობის განსაზღვრაში. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს რეგულარულად და გამჭვირვალედ, რაც კარგია, თუმცა მასში არ არის დეტალური მითითებები შეფასების სიხშირისა და გამოსაყენებელი კონკრეტული მეთოდების შესახებ. ასეთი გაურკვევლობა იწვევს არათანმიმდევრულ გამოყენებას და აფერხებს სტუდენტთა მიღწევების ზუსტ გაზომვას და მიღებული შედეგების ეფექტურ დანერგვას

თუმცა, პროგრამებში სწორადაა გამოყენებული როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, სადაც არაპირდაპირი შეფასება მოიცავს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს კითხვარების საშუალებით. ეს შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ. მიუხედავად ამისა, თვითშეფასების ანგარიშმა და ჩატარებულმა ინტერვიუებმა ვერ წარმოადგინა კონკრეტული მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ უკუკავშირის გათვალისწინება პროგრამების გაუმჯობესებაში. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და პროფესიული ასოციაციების როლი და პასუხისმგებლობები შეფასების პროცესში უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული მათი ეფექტური მონაწილეობისა და წვლილის უზრუნველსაყოფად. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს დაადასტურა, რომ ეს საკითხი საჭიროებს საფუძვლიან მიდგომას.

მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტი ხაზს უსვამს ე.წ. „ბენჩმარკინგის“ მნიშვნელობას, თვითშეფასების ანგარიშში მხოლოდ ბუნდოვნად არის ნახსენები თითოეული სწავლის შედეგისთვის "სამიზნე

ნიშნულების" დადგენა. არ არსებობს მკაფიო მითითება იმის შესახებ, თუ როგორ განისაზღვრება ეს სამიზნე ნიშნულები ან როგორ შეესაბამება ისინი ინდუსტრიის სტანდარტებს/მოთხოვნებს.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დეტალური ინფორმაციის არარსებობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის მიმართულებით. დოკუმენტი მხოლოდ აღნიშნავს, რომ ასეთი შესაძლებლობები უნდა იყოს უზრუნველყოფილი, თუმცა არ აკონკრეტებს ამ განვითარების აქტივობების ხასიათს ან სიხშირეს.

პროგრამის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია უფრო დეტალური და მკაფიო შეფასების გეგმის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ მეთოდებს, პერიოდულობას და თითოეული შეფასებისთვის პასუხისმგებელ მხარეებს. ამასთანავე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ყოვლისმომცველი ჩარჩოს შემუშავება გააუმჯობესებს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას. ეს ნაბიჯები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და ზუსტ გაზომვას, რაც ხელს შეუწყობს ორივე პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას.

სასწავლო პერსონალისთვის უნდა დაინერგოს გულდასმით დაგეგმილი პროფესიული განვითარების პროგრამა. ეს გულისხმობს ვორკშოპების, სემინარებისა და პრაქტიკული ტრენინგების სახით, რომლებიც მიმართული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდების დაუფლებაზე. სტანდარტ 1.3-ისთვის არ არის წარმოდგენილი ცალკეული პროგრამისთვის სპეციფიკური ანალიზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ გასაუბრებები ექსპერტთა ჯგუფთან
- ✓ პროგრამის აღწერის დოკუმენტი
- ✓ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sdasu.edu.ge/en/about-us/#qas
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
- ✓ შესაბამისი ადგილობრივი და უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის/საორიენტაციო ნიშნულების დოკუმენტი
- ✓ სასწავლო პროგრამის რეგულეაციები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
- ✓ პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება
- ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები
- ✓ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.3 რეკომენდებულია უფრო დეტალური და მკაფიო შეფასების გეგმის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება თითოეული შეფასების კონკრეტული მეთოდი, პერიოდულობა და პასუხისმგებელი მხარეები.

კლასტერის საერთო რჩევები:

სტანდარტი 1.3 სასურველია, მოხდეს პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამის დანერგვა. ეს პროგრამა უნდა შეიცავდეს ვორკშოპებს, სემინარებსა და პრაქტიკულ ტრენინგებს, რომლებიც მიმართული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდების დაუფლებაზე.

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	☐	X	☐	☐
პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო

პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ზოგადად შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. თუმცა, არსებობს გარკვეული პრობლემური საკითხები და გაუმჯობესების შესაძლებლობები. პროგრამები შემუშავებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, კრედიტების სათანადო განაწილებითა და ხანგრძლივობით. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (240 ECTS კრედიტი), ხოლო სამაგისტრო პროგრამის - 2 წელი (120 ECTS კრედიტი). ორივე პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების კომბინაციას, რაც იძლევა გარკვეული ხარისხით ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას.

თუმცა, საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედარებით ხისტია, სადაც 240 კრედიტიდან 200 კრედიტი ეთმობა სავალდებულო კომპონენტებს. ეს სტრუქტურა უტოვებს სტუდენტებს შეზღუდულ შესაძლებლობას როგორც სპეციალიზაციისთვის, ასევე მათი სხვადასხვა პროფესიული ინტერესების განვითარებისთვის, მათ შორის არჩევითი საბაკალავრო ნაშრომისთვის. სამაგისტრო პროგრამა, მეორე მხრივ, გვთავაზობს უფრო დაბალანსებულ მიდგომას, სადაც 90 კრედიტი გამოყოფილია სასწავლო კომპონენტებისთვის, ხოლო 30 კრედიტი - კვლევითი ნაშრომისთვის.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ინფორმაციის არარსებობა იმის შესახებ, თუ როგორ ითვალისწინებენ პროგრამები ახალ კვლევით მიგნებებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. ამასთან, თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დოკუმენტები მკაფიოდ არ განმარტავს, თუ როგორ არის ინტეგრირებული სასწავლო პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი საკითხები და თანამედროვე ტექნოლოგიების ასპექტები, რაც გადამწყვეტია დღევანდელ გლობალიზებულ ბიზნეს გარემოში.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

პროგრამის სტრუქტურა ზოგადად თანმიმდევრული და ლოგიკურია, სადაც მკაფიოდაა განაწილებული კრედიტები სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს შორის. 240 კრედიტი და 4-წლიანი ხანგრძლივობა შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის ტიპურ მოთხოვნებს. სპეციალობის კურსებისა და არჩევითი საგნების კომბინაცია უზრუნველყოფს როგორც სიღრმისეულ ცოდნას სპეციალობაში, ასევე აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას მოარგონ სწავლის პროცესი საკუთარ ინტერესებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საბაკალავრო ნაშრომის არჩევითობის კომპონენტი, რაც ქვემოთ არის განხილული ამ პროგრამისთვის გაწერილ რეკომენდაციებში.

საბაკალავრო პროგრამაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, სავარაუდოდ სავალდებულო კვლევითი პროექტის ან საბაკალავრო ნაშრომის შემოღებით, უკეთ მოამზადებს სტუდენტებს შემდგომი სწავლისთვის ან კვლევაზე ორიენტირებული კარიერისთვის. ეს ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ პროგრამები არა მხოლოდ აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს, არამედ სთავაზობდეს სტუდენტებს უფრო მრავალმხრივ და ადაპტირებად განათლებას ბიზნესის ადმინისტრირებაში.

აუცილებელია საბაკალავრო პროგრამაში მეტი მოქნილობის უზრუნველყოფა სავალდებულო კრედიტების რაოდენობის შემცირებისა და მეტი სპეციალიზებული არჩევითი კურსების ან კონცენტრაციების შეთავაზების გზით. რთული გამოწვევაა იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება

მინიჭებული კვალიფიკაცია პროგრამის რეალურ შინაარსს და მიღწეულ სწავლის შედეგებს. რუკების შესახებ მოწოდებული შეზღუდული ინფორმაცია ართულებს ამის გაგებას, საჭიროა უფრო მკაფიო შესაბამისობის დადგენა სასწავლო კურსის შინაარსს, კომპეტენციებსა და საბოლოო კვალიფიკაციას შორის, რაც გაამლიერებდა მათ ურთიერთკავშირს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დონე VII

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, აჩვენებს კარგ ბალანსს სასწავლო კომპონენტსა (90 კრედიტი) და კვლევით კომპონენტს (30 კრედიტი) შორის. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ყველა სწავლის შედეგის მიღწევას, განსაკუთრებით იმ შედეგებისა, რომლებიც უკავშირდება კვლევით უნარებსა და ცოდნის შექმნას მაღალ დონეზე, რაც ტიპურად გადამწყვეტია სამაგისტრო განათლებისთვის. ამასთანავე, პროგრამის აღწერაში არ არის მკაფიოდ ნახსენები ან ნაჩვენები, რომ პროგრამა შემუშავდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამის ჯამური 120 კრედიტიდან მხოლოდ 15 კრედიტი ეთმობა არჩევით კურსებს, რაც ძალიან მცირეა. ასეთი შეზღუდული მოქნილობა შესაძლოა აფერხებდეს სტუდენტების შესაძლებლობას, მოარგონ სწავლება საკუთარ ინტერესებს ან კარიერულ მიზნებს ბიზნესის ადმინისტრირების ფართო სფეროში. დაბალანსებული მიდგომა გაზრდილი არჩევითი კურსებით, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ანალიტიკის მიმართულებით, უკეთ უზრუნველყოფდა პროგრამის შინაარსის შესაბამისობას სტუდენტთა მრავალფეროვან საჭიროებებთან და დინამიური და მუდმივად ცვალებადი ბიზნეს სამყაროს განსხვავებულ მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

✓ ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფთან
✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა
✓ „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა“, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა
✓ აკადემიური კურსების პროგრამები (სილაბუსები);
✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://sdasu.edu.ge/en/about-us/#qas
✓ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
✓ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
✓ შესაბამისი ადგილობრივი და უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის/საორიენტაციო ნიშნულების დოკუმენტი
✓ სასწავლო პროცესის რეგულაციები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
✓ პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება

✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები
✓ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში
✓ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.4 რეკომენდებულია სავალდებულო კვლევითი პროექტის ან დისერტაციის შემოღება, რათა უკეთ მოამზადოს სტუდენტები შემდგომი სწავლისა თუ კვლევითი კარიერისთვის.

რჩევები:

სტანდარტი 1.4 სასურველია შემცირდეს სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და მოხდეს მეტი სპეციალიზებული არჩევითი კურსების ან კონცენტრაციების შეთავაზება.

სტანდარტი 1.4 სასურველია კურსის შინაარსის, კომპეტენციებისა და საბოლოო კვალიფიკაციას შორის იყოს მკაფიო შესაბამისობა.

პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.4 რეკომენდებულია უფრო დაბალანსებული მიდგომა გაზრდილი არჩევითი საგნების შეთავაზებით, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ანალიტიკის მიმართულებით, რაც უკეთ უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას სტუდენტების მრავალფეროვან საჭიროებებთან და დინამიურად ცვალებადი ბიზნესის სამყაროს მოთხოვნებთან.

რჩევები:

სტანდარტი 1.4 სასურველია, გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით.

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	☐	☐	X	☐
პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	☐	X	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ძირითადი სწავლის სფეროს აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ზოგადად შეესაბამება 1.5 სტანდარტის მოთხოვნებს. თუმცა, არსებობს გარკვეული საყურადღებო საკითხები და გაუმჯობესების შესაძლებლობები. მაგალითად, აღსანიშნავია, რომ პროგრამები ავლენს თანხვედრას სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და პროგრამის ზოგად შედეგებს შორის, რაც მისასალმებელია. ასევე აღსანიშნავია შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისი დონეების მიხედვით (მე-6 დონე საბაკალავრო და მე-7 დონე სამაგისტრო პროგრამებისთვის). თუმცა, თვითშეფასების ანგარიშსა და შესაბამის დოკუმენტებში არ არის დეტალურად აღწერილი, თუ როგორ მიიღწევა და ნარჩუნდება ეს შესაბამისობა ყველა სასწავლო კურსში.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აცხადებს, რომ კრედიტების განაწილება ეფუძნება სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებსა და კურსის სირთულეს, არ არის წარმოდგენილი მკაფიო მტკიცებულებები ამ მოსაზრების დასადასტურებლად. კრედიტების მინიჭების უფრო დეტალური ჩაშლა გაზრდიდა გამჭვირვალობას და უზრუნველყოფდა სასწავლო დატვირთვის

სათანადო განაწილებას ECTS-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში ნახსენებია სასწავლო მასალებში დარგის თანამედროვე მიღწევების გამოყენება, მასში არ არის მოცემული კონკრეტული მაგალითები ან სისტემური მიდგომა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება უახლესი კვლევებისა და ინდუსტრიის ტენდენციების კურიკულუმში ინტეგრირება. ეს სფერო მეტ ყურადღებას საჭიროებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამების აქტუალობა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები აღწერილია როგორც კურსის შინაარსთან შესაბამისი, თუმცა დოკუმენტში არ არის დეტალურად განხილული ამ მეთოდების მრავალფეროვნება და მიზანშეწონილობა. შეფასების ტექნიკების უფრო მრავალფეროვანი სპექტრი სასარგებლო იქნებოდა სწავლის განსხვავებული სტილების გასათვალისწინებლად და სტუდენტების უკეთ მოსამზადებლად რეალური გამოწვევებისთვის.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

პროგრამა კარგად შეესაბამება სტანდარტებს და ავლენს სტრუქტურირებულ მიდგომას კურიკულუმის დიზაინისა და ზემოთ აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევის მიმართულებით. ზოგადად, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტები შემუშავებულია კონკრეტული სწავლის შედეგების მხარდასაჭერად, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საერთო მიზნების მიღწევას. მაგალითად, აღწერა საკმაოდ ზოგადია და არ მოიცავს კონკრეტულ მაგალითებს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების მისადაგება კონკრეტულ კურსებთან ან როგორ განისაზღვრება კრედიტების განაწილება. პროგრამაში ასევე შეზღუდულად არის ასახული დარგის თანამედროვე მიღწევები და საერთაშორისო პერსპექტივები უცხოურ უნივერსიტეტებთან პარტნიორობის მეშვეობით. ამ მიმართულებით საჭიროა მეტი აქცენტის გაკეთება.
მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობაში ნახსენებია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, მასში არ არის დეტალურად აღწერილი გამოყენებული კონკრეტული მეთოდები ან კრიტერიუმები, რამაც შესაძლოა კითხვები გააჩინოს კურსებში თანმიმდევრულობისა და სიზუსტის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი მიუთითებს, რომ აუცილებელია მკაფიო რუკის წარმოდგენა, რათა ეს პროცესი გამჭვირვალე და ნათელი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობაში მითითებულია, რომ სასწავლო მასალები ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს, არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სიხშირით ხდება ამ მასალების განახლება ან გადახედვა მათი მუდმივი აქტუალობის უზრუნველსაყოფად. ზოგიერთი მოდულის აღწერილობაში მითითებული სასწავლო ლიტერატურა მოძველებულია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დონე VII

პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სამაგისტრო განათლების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. იგი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები და კრედიტების განაწილება შემუშავებულია პროგრამის საერთო მიზნების მისაღწევად. პროგრამა ასევე ხაზს უსვამს შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოებთან და შეზღუდულად მოიცავს დარგის თანამედროვე მიღწევებს სასწავლო მასალებში.

აღწერილობაში არ არის ნახსენები გარე შეფასების ან ე.წ. „ბენჩმარკინგის პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფდა პროგრამის შესაბამისობას ინდუსტრიის ან საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც ხშირად მნიშვნელოვნად მიიჩნევა სამაგისტრო პროგრამებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე ვერ მოიძია რაიმე კონკრეტული ინფორმაცია ამის შესახებ პანელური ინტერვიუს დროსაც. რეკომენდებულია შემუშავდეს და განხორციელდეს საორიენტაციო ნიშნულებთან მკაფიო შედარების სტრატეგია, სადაც ასეთი აკრედიტაციებისთვის თვალსაჩინო იქნება მტკიცებულებები და ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობაში მოცემულია ზოგადი ჩარჩო კურსის შედეგების პროგრამის შედეგებთან შესაბამისობის შესახებ, მასში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითები ან საზომი მაჩვენებლები იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა ან იზომება ეს შესაბამისობა.

მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობაში ნახსენებია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, მასში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია შეფასების კონკრეტული მეთოდების შესახებ, ან იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის ვალიდურობასა და სანდოობას. თვითშეფასების ანგარიშის ეს ნაწილი მხოლოდ შეზღუდულ ინფორმაციას იძლევა სამაგისტრო პროგრამისთვის, 1.5 სტანდარტის მკაფიო შეფასების გასაკეთებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრებები;
- ✓ საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (კურიკულუმი, სწავლის შედეგების რუკა).
- ✓ სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა);
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://sdasu.edu.ge/en/about-us/#qas
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
- ✓ ანალოგიურ ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარებითი/საორიენტაციო ნიშნულების ანალიზის დოკუმენტი;
- ✓ სასწავლო პროცესის რეგულაციები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება;
- ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
- ✓ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.5 რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატური გადახედვის პროცესის დანერგვა, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე დარგის ექსპერტების ჩართულობით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების თანამედროვეობა და შესაბამისობა ინდუსტრიის საჭიროებებთან.

სტანდარტი 1.5 რეკომენდებულია სასწავლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების უფრო სტრუქტურირებული მიდგომის შემუშავება, კერძოდ: უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და სასწავლო კურსებში საერთაშორისო ქეისებისა და კვლევების შედეგების ინტეგრირება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

რჩევები:

სტანდარტი 1.5 სასურველია, პროცესის გამჭვირვალობისა და სიცხადისთვის შესაბამისობის რუკა მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

სტანდარტი 1.5 სასურველია ყველა მოდულის/კურსის აღწერილობას ჰქონდეს განახლებული სასწავლო ლიტერატურა.

პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.5 რეკომენდებულია შემუშავდეს და განხორციელდეს მკაფიო სამიზნე ნიშნულების სტრატეგია, რომელიც გამყარებული იქნება მტკიცებულებებითა და ანალიზით ასეთი აკრედიტაციებისთვის.

რჩევები:

სტანდარტი 1.5 მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობა გვთავაზობს სასწავლო კურსის შედეგების პროგრამის შედეგებთან შესაბამისობის ზოგად ჩარჩოს, იგი არ იძლევა კონკრეტულ მაგალითებს ან მეტრიკებს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა ან იზომება ეს შესაბამისობა.

სტანდარტი 1.5 მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობაში ნახსენებია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, მასში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია კონკრეტული შეფასების მეთოდების შესახებ, ან იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება შეფასების პროცესის ვალიდურობა და სანდოობის უზრუნველყოფა.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	☐	☐	X	☐
პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	☐	☐	X	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	☐	☐	X	☐
პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	☐	☐	X	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობები უმეტესად ლოგიკური, სამართლიანი და გამჭვირვალეა და შეესაბამება განათლების საფეხურს, რაც ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას პროგრამებში. მიუხედავად ამისა, საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები დეტალურად არ არის აღწერილი, პროგრამის აღწერილობაში მხოლოდ მითითებულია, რომ მიღების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს. ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიღების წინაპირობები გამომდინარეობს პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზიდან. ზოგადად, წინაპირობები გამომდინარეობს გამოცდილებიდან და შესაბამისი პროგრამების სამიზნე ნიშნულიდან. ისინი ძირითადად ითვალისწინებენ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სამიზნე სფეროებში კვალიფიციური სპეციალისტების საბაზრო მოთხოვნას. სწავლის წინაპირობები გაწერილია პროგრამებში, ისინი ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის და შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე - https://sdasu.edu.ge/swavleba/#business

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, რომელიც წარმოადგინა სდასუ-მ, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, ამ საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები, ზოგადად, გამჭვირვალე და ყველასთვის ხელმისაწვდომია. პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია გაწერილია პროგრამის აღწერაში და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამის დოკუმენტში არსებული ჩანაწერის თანახმად, სტუდენტების მიღება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საშუალო განათლების დასრულების შემდეგ, აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ასევე, *„სრული ზოგადი განათლების მქონე პირს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების, შიდა/გარე მობილობისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე“.* თუმცა, გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ეს განმარტება უფრო ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და უფრო დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს მინიმალურ საგნობრივ ცოდნასა და უნარებს (მაგ. მათემატიკაში, უცხო ენებში ან/და სხვა საგნებში), რომლებიც

საჭიროა ამ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დონე VII

სდასუ-ს მიერ წარმოდგენილი კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აღწერისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები, ზოგადად, გამჭვირვალე და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ინფორმაცია პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამის აღწერაში არსებული ჩანაწერის თანახმად, "პირს, რომელსაც აქვს მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, უფლება აქვს ისწავლოს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობა და ინგლისური ენა (B2 დონე)) საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა". კონკურსანტი გათავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდისგან, თუ იგი წარმოადგენს შესაბამის სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე. საინფორმაციო საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მაგისტრანტობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადები, წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა და სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო საკითხები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად. თუმცა, საკმარისად ნათელი არ არის, ვალდებულნი არიან თუ არა აპლიკანტები პროგრამაზე მისაღებად ჩააბარონ რაიმე სახის საგნობრივი შიდა გამოცდა ან გაიარონ გასაუბრება. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ამგვარი განმარტება ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და უფრო დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს მინიმალურ საგნობრივ ცოდნასა და უნარებს (მაგ. ბიზნესისა და მენეჯმენტის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ეკონომიკის და ა.შ. სფეროებში), რომლებიც საჭიროა ამ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და მასში დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდი - www. sdasu.edu.ge
- ✓ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სტანდარტი 2.1 რეკომენდებულია პროგრამებზე დაშვების წინაპირობების მკაფიოდ ჩამოყალიბება და დეტალურად განსაზღვრა იმ მინიმალური საგნობრივი ცოდნისა და უნარების, რომლებიც აუცილებელია პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და პროგრამებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 2.1 რეკომენდებულია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და დეტალურად განისაზღვროს შესაბამისი მინიმალური საგნობრივი ცოდნა და უნარები (მაგ. მათემატიკაში, უცხო ენაში და ა.შ.), რაც საჭიროა ამ საბაკალავრო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII დონე

რეკომენდაციები:

სტანდარტი 2.1 რეკომენდებულია პროგრამაზე მიღების შიდა პროცედურების (შიდა გამოცდა, გასაუბრება) შესახებ ინფორმაციის მკაფიოდ ჩამოყალიბება და მინიმალური საგნობრივი ცოდნისა და უნარების დეტალურად განსაზღვრა (მაგ., ბიზნესისა და მენეჯმენტის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ეკონომიკის და სხვა), რაც აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად.

შეფასება

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება -	☐	X	☐	☐

საბაკალავრო პროგრამა, VI დონე				
პროგრმა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	☐	X	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სდასუ უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო დონის შესაბამისად. ამისთვის უნივერსიტეტს გააჩნია სხვადასხვა რესურსი და დაგეგმილი აქვს აქტივობები. პროგრამებში შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტების სტრუქტურა მიზნად ისახავს აღნიშნული უნარების გაძლიერებას, აგრეთვე სტუდენტების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას კვლევით პროექტებში, რაც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი ელემენტები მოიცავს:

- პრაქტიკულ მომზადებასა და კარიერულ მომსახურებას: პრაქტიკული კომპონენტი გათვალისწინებულია საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში. ორივე პროგრამა მოიცავს თეორიულ ლექციებსა და პრაქტიკულ საკონტაქტო საათებს. სტუდენტები გადიან პროფესიულ პრაქტიკას, რაც მათ საშუალებას აძლევს გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ გარემოში, განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები და გაზარდონ დასაქმებისა და სტაჟირების პერსპექტივები. სტაჟირების (პრაქტიკის) კომპონენტის განსახორციელებლად, სდასუ-მ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას/მემორანდუმს რამდენიმე ორგანიზაციასთან (მაგ. შპს - G.T Company; შპს - IN TRADE; შპს - GCB- ჯგუფი; შპს - ახალი ქართული კაპიტალი; სს - მიკრო ბიზნეს კაპიტალი; და სხვ.). პრაქტიკა ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე; იგი უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ ჩატარებას; მასპინძელი დაწესებულება ნიშნავს მენტორს, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტებს ორგანიზაციაში. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტი იცავს მასპინძელი ორგანიზაციის შიდა წესდებას, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმებს, ასრულებს

კონკრეტულ სამუშაოს და აწარმოებს პრაქტიკის დღიურს პრაქტიკის კალენდარული გეგმისა და მენტორის ინსტრუქციების შესაბამისად. ეს კომპონენტი და მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტებს განავითარონ შეძენილი თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გარემოში. აგრეთვე, უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სამუშაო ვაკანსიების შესახებ, ეხმარება დოკუმენტაციის მომზადებაში და ხელს უწყობს კავშირების დამყარებას კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს შორის. სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, უნივესიტეტმა ჩაატარა რამდენიმე ღონისძიება სტაჟირების, პროფესიული სემინარებისა და კარიერასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების მხარდასაჭერად.

- სტუდენტური კონფერენციები და კვლევითი განვითარება: თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებს, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება და საკუთარი ნაშრომების წარდგენა. აგრეთვე, უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ფაკულტეტების მიხედვით სექციებად არის დაყოფილი და რომელშიც ყველა საფეხურის სტუდენტები მონაწილეობენ. გამარჯვებული ნაშრომების თეზისები იბეჭდება კონფერენციის მასალებში, ჟურნალის ფორმით. აკადემიური/ მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობს სტუდენტების კვლევით საქმიანობას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სამეცნიერო/კვლევით აქტივობებსა და პროექტებში.

- დამატებითი აკადემიური სამუშაო: სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება ხორციელდება იმ უნარებთან ერთად, რომლებსაც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ავითარებს სწავლის შედეგების მიღწევით. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი კურსები, სწავლების მეთოდები (მაგ. კეისების შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, პრაქტიკული დავალებები, პრეზენტაციები), პრაქტიკული გაკვეთილები, სამუშაო ჯგუფის სემინარები, პროგრამაში ინტეგრირებული მინი- პროექტების მომზადება ან საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა უმეტესწილად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. გარდა ამისა, შუალედური შეფასებები ხშირად მოიცავს აკადემიურ დავალებებს, როგორიცაა თეზისებისა და პროექტების პრეზენტაციები, რაც ძირითადად ხელს უწყობს ზემოაღნიშნული უნარების

განვითარებას.

სდასუ- ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ დამსაქმებლები, აგრეთვე კურსდამთავრებულები, საერთო ჯამში კმაყოფილები არიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების კომპეტენციებითა და პრაქტიკული უნარებით (კერძოდ, ისეთი უნარებით, როგორიცაა მონაცემების შეგროვება, ანალიზი და კლასიფიკაცია, დეტალებზე ორიენტაცია და პრობლემის გადაჭრა, რბილი უნარები და ა.შ.).
იდეალური იქნება, თუ სდასუ შექმნის ლაბორატორიას ან საინოვაციო ჰაბს, სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ განავითარონ და დაეუფლონ თავიანთ ტრანსფერულ, შემოქმედებით, საშემსრულებლო და პრაქტიკულ უნარებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

სდასუ- ს მიერ წარმოდგენილი კლასტერული დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარები შეესაბამება სხვა დარგობრივ უნარებს, რომელთა განვითარებას მიზნად ისახავს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სწავლის შედეგების მიღწევით. სავალდებულო და არჩევითი კურსები, სწავლების მეთოდები (მაგ. შემთხვევების შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, პრაქტიკული დავალებები, პრეზენტაციები), პრაქტიკული გაკვეთილები, სამუშაო ჯგუფის სემინარები, პროგრამაში ინტეგრირებული მინი-პროექტების მომზადება მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და სტანსფერული უნარების განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ნაწილობრივ ინტეგრირებულია ზოგიერთ საგნობრივ სავალდებულო კურსში (მაგ. მენეჯმენტის საფუძვლები, პროექტის მართვის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, სტრატეგიული მართვა, ბიზნეს კომუნიკაციები, კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა და ა.შ.) და დაგეგმილია სწავლის შედეგების შესაბამისად, რაც, ძირითადად შეესაბამება განათლების მეორე საფეხურს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მეტწილად მეტწილად ავითარებენ სწავლის შედეგებისთვის და საგანმანათლებლო დონისთვის საჭირო კომპეტენციებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა არ მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს/ პროექტს სავალდებულო კურსის/ კომპონენტის სახით. აგრეთვე, არც ერთ კურსში არ არის სავალდებულო შეფასების კომპონენტი (რის გარეშეც შეუძლებელი იქნება კურსის დასრულება) - პროექტი. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს საბაკალავრო პროგრამის ძირითად კომპონენტს, რომელიც სტუდენტებს

რთულ საკითხებში გარკვევისა და და საკუთარ დარგში კვლევის უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებას მისცემს . შესაბამისად, საჭიროა მისი ჩანაცვლება და ძირითად სავალდებულო კურსად განსაზღვრა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

სდასუ- ს მიერ წარმოდგენილი კლასტერული დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კურსებსა და აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული და სამეცნიერო/ საშემსრულებლო უნარების განვითარებას, კერძოდ: ბიზნესში კვლევის მეთოდები; მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ბიზნესში Excel და SPSS გარემოში; კვლევითი პროექტები; სტაჟირება/ პროფესიული პრაქტიკა; სტატიების გამოქვეყნება; კონფერენციებში მონაწილეობა; პროსპექტუსის და სამაგისტრო ნაშრომის წერა. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის ძირითად კომპონენტს, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაუმკლავდნენ რთულ საკითხებს და განავითარონ სამეცნიერო კვლევის, აგრეთვე კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარები საკუთარ დარგში. ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს თემებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას აკადემიურ სტანდარტებთან. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები და პირობები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი წესით შეარჩია რამდენიმე უკვე წარმატებით დაცული სამაგისტრო ნაშრომი და აღნიშნა, რომ ზოგიერთი ნაწილობრივ შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დადგენილ სტანდარტებს/წესებს. გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით და სდასუ- ს მიერ წარმოდგენილ კლასტერულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დებულება, აგრეთვე მისი დამტკიცების წესები უნდა გადაიხედოს აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ სდასუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ✓ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმები და სილაბუსები;
- ✓ ადგილზე ვიზიტის დროს დათვალიერებული რესურსები;
- ✓ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდი - ww.sdsu.edu.ge (ინფორმაცია კონფერენციებისა და კვლევითი აქტივობების შესახებ)
- ✓ გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რჩევები:

სტანდარტი 2.2 სასურველია საბაკალავრო ნაშრომი განიხილებოდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტად, რომელიც სტუდენტებს მისცემს კომპლექსური საკითხების კვლევის, დარგობრივი კვლევითი უნარების განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. შესაბამისად, ეს კომპონენტი უნდა განისაზღვროს როგორც ძირითადი სავალდებულო კურსი.

სტანდარტი 2.2 სასურველია პრაქტიკული პროექტების განხორციელება, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები:

სტანდარტი 2.2 რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის თემების შერჩევისა და დამტკიცების წესები და მიდგომები, აგრეთვე აკადემიური ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელთა შერჩევა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარები.

რჩევები:

სტანდარტი 2.2 სასურველია სამაგისტრო ნაშრომები მიმართული იყოს რეალური კვლევის წარმოებაზე, შესაბამისი კვლევის დიზაინის გამოყენებაზე, კომპლექსური იდეების შეფასებასა და კვლევის მიგნებების შესახებ ეფექტურ კომუნიკაციაზე.

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი	შესაბამისობა შია	მეტწილად მეტწილად შესაბამისობა	ნაწილობრივ შესაბამისობა შია	არ არის შესაბამისობა ში

/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მოთხოვნებთან	შია მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	X	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთო ჯამში, კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაშია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- სწავლის მეთოდების მოთხოვნებთან, თანხვედრაშია განათლების დონესთან, კურსის შინაარსთან და დასახულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამებში გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში. ეს მეთოდები მოიცავს: ინტერაქტიულ ლექციებს/ სემინარებს; კეისების შესწავლას; პროექტებს; დისკუსიებს/ დებატებს; ჯგუფურ მუშაობას; თანამშრომლობით სწავლას; პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას; გონებრივ იერიშს; როლური თამაშებსა და სიტუაციურ ანალიზს; დემონსტრაციის მეთოდს; პრაქტიკულ მუშაობას; ზეპირ ინსტრუქციებს; წერილობით დავალებებს და ა.შ. სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები მიაღწევენ თითოეული კურსის სილაბუსში მითითებულ სწავლის შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში/სახელმძღვანელოებში. შესაბამისად, თითოეული კურსის

სილაბუსი მეტ- ნაკლებად მკაფიოდ წარმოაჩენს გამოყენებელ სწავლება- სწავლის მეთოდებს, რაც ადასტურებს მათ შესაბამისობას კურსის მიზნებთან. მეთოდები არა მხოლოდ მრავალფეროვანია, არამედ მოქნილიც, რაც საშუალებას აძლევს ლექტორებს მოარგონ ესა თუ ის მიდგომა კურსის ან ინდივიდუალური სტუდენტის კონკრეტულ საჭიროებებს. ეს მოქნილობა მნიშვნელოვანია სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვადასხვა სწავლის სტილისა და საჭიროების მქონე სტუდენტები წარმატებით აღწევენ მიზანს. გარდა ამისა, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ სწავლების მეთოდები იყოს ინტერაქტიული, რაც ხელს უწყობს აქტიურ ურთიერთობას სტუდენტებს შორის და სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის. ეს ურთიერთობა მეტწილად ავითარებს კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარებს, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ. ინტერაქტიული სწავლის მეთოდებზე ფოკუსირება, მაგალითად ჯგუფური დისკუსიები, კეისების შესწავლა, გუნდური პროექტები, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები პასიურად კი არ იღებენ ინფორმაციას, არამედ აქტიურად არიან ჩართულნი საკუთარი ცოდნის შექმნაში. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს, სადაც ხაზგასმულია სტუდენტის აქტიური როლი სწავლის პროცესში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სილაბუსების დეტალურმა მიმოხილვამ (განსაკუთრებით მენეჯმენტის საგნობრივ კურსებში) აჩვენა, რომ კურსების დიდ ნაწილში გამოიყენება სწავლებისა და შეფასების მსგავსი მეთოდები და ინსტრუმენტები. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ნაკლებ ეფექტური შეიძლება იყოს კურსში მითითებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთ სილაბუსში გამოიყენება მრავალჯერადი არჩევანის ტესტები, გუნდური პრეზენტაცია ან/ და ჯგუფური პროექტი სტუდენტის კომპეტენციის შეფასების ინსტრუმენტებად. იგი თვლის, რომ აღნიშნულ მეთოდებს უნდა დაემატოს შეფასების უფრო შესაფერისი ფორმები (კერძოდ, დეტალურად აღწერილი რუბრიკები) სტუდენტთა კომპეტენციის სანდო და მართებული შეფასებისთვის. იმისთვის, რომ ობიექტურად და სამართლიანად შეფასდეს სტუდენტთა ინდივიდუალური მიღწევები, გამოვლინდეს და გაიზომოს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური მიღწევები, კომპეტენციები, კონკრეტული თემის ან საგნის/ კურსის ცოდნა, აგრეთვე გამოვლინდეს სტუდენტის ძლიერი მხარეები, გამოიკვეთოს ხარვეზები და დადგინდეს მისი ცოდნის დონე, შეფასება უნდა განხორციელდეს სანდო მეთოდ(ებ)ით, დეტალურად აღწერილი რუბრიკებით, გაზომვადი და სანდო ინდიკატორებითა და შესაბამისი ქულებით.

დამატებით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების დროს ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთი ლექტორი იყენებს სწავლებისა და შეფასების უფრო სათანადო და

სანდო მეთოდებს სტუდენტთა მიღწევების განვითარების, გაზომვისა და შეფასებისთვის, მაგრამ სილაბუსებსა და პროგრამებში ეს გამოყენებული მეთოდები მოხსენიებული და აღწერილი არ არის. გარდა ამისა, ზოგიერთმა ლექტორმა მკაფიოდ ვერ ახსნა კონკრეტული სწავლების მეთოდის მიზანი და წვლილი პროგრამის ან კურსის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. შესაბამისად, სდასუ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ლექტორებმა ეფექტურად გამოიყენონ სწავლების სტრატეგიები, სწავლის მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები, და ამ მიმართულებით მან სათანადო ღონისძიებები უნდა გაატაროს. გარდა ამისა, სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იქნას აღწერილი სწავლება- შეფასების პროცესში გამოყენებული მეთოდები/ ინსტრუმენტები. შესაბამისად, ზოგიერთი სილაბუსი უნდა გადაიხედოს სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების/ რუბრიკების დეტალური აღწერის თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

საბაკალავრო პროგრამის სწავლება გულისხმობს სწავლის შედეგების მიღწევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის დაუფლების შედეგად სტუდენტს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს შესაბამისი ცოდნითა და შესაბამისი კომპეტენციებით. შესაბამისად, სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები (კერძოდ, ზეპირი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, სწავლა კეთების გზით, დემონსტრაციის მეთოდი, პრეზენტაცია, შემთხვევების შესწავლა, პრაქტიკული მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ელ- რესურსებით სწავლება და სხვ.), რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი აქტივობების სახით: წიგნებზე/ სახელმძღვანელოებზე დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია- დებატებში მონაწილეობა, კითხვებზე პასუხების მომზადება, პრაქტიკული მაგალითები, შემთხვევების ანალიზი, წერილობითი დავალებების შესრულება, პროექტის დამოუკიდებლად მომზადება, პრაქტიკული სამუშაოს გზით სწავლა. სწავლების პროცესში გამოიყენება ზემოაღნიშნული მეთოდებიდან ერთი ან რამდენიმე, ან ნებისმიერი სხვა მეთოდი პროფესორის შეხედულებისამებრ, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის აქტივობა - უფრო აქტიური.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- სწავლის მეთოდებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობებისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. შესაბამისად, სწავლების პროცესში

გამოიყენება ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც მიმართულია სტუდენტების მოქმედებებსა და შედეგებზე. კერძოდ: ზეპირი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია, პრაქტიკული მუშაობა, სწავლა კეთებით, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, პროექტზე და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ელ- რესურსებით სწავლება და სხვ., რაც, თავის მხრივ, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: წიგნებზე/სახელმძღვანელოებზე დამოუკიდებელი მუშაობა და ინტერპრეტაცია, დისკუსია-დებატებში მონაწილეობა, კეისების ანალიზი, ჯგუფური მუშაობა, კითხვებზე პასუხების მომზადება, პრაქტიკული მაგალითები, წერილობითი დავალებების შესრულება, პროფესიული ანგარიშის მომზადება, ნაშრომის/პროექტის დამოუკიდებლად მომზადება, პრაქტიკული სამუშაოს გზით სწავლა და ა.შ. კომპონენტის სპეციფიკის მიხედვით, სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინაცია. შედეგად, სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო მაგისტრანტის ჩართულობა - უფრო აქტიური. სწავლება- სწავლის მეთოდების შერჩევა და გამოყენება მიზნად ისახავს სტუდენტების აქტიური მონაწილეობის სტიმულირებას, რაც მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ ინტერესებსა და საჭიროებებს, რის შედეგადაც სტუდენტები არა მხოლოდ იძენენ მზა ცოდნას, არამედ ავითარებენ უნარებს და აღწევენ დადგენილ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ სდასუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ✓ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმები და სილაბუსები;
- ✓ ადგილზე ვიზიტის დროს დათვალიერებული რესურსები;
- ✓ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.sdasu.edu.ge (ინფორმაცია კონფერენციებისა და კვლევითი აქტივობების შესახებ)
- ✓ გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სტანდარტი 2.3 რეკომენდებულია სანდო და ვალიდური სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება კურსის/პროგრამის შინაარსთან და გაცხადებულ სწავლის შედეგებთან. რეკომენდებულია პროგრამებისა და სილაბუსების გადახედვა გამოყენებული აქტივობებისა და დავალებების ანალიზის კუთხით, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების/სტრატეგიების დეტალური აღწერა.

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და შეესაბამება როგორც გარე, ასევე შიდა საუნივერსიტეტო კანონმდებლობას. სტუდენტთა ცოდნა ფასდება 100- ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური შეფასებიდან სულ მცირე 51 ქულა იმისათვის, რომ სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვალოს, და ყოველივე ეს დეტალურად არის აღწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები იცნობენ შეფასების სქემას და კომპონენტებს, რაც დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრებით, ხოლო მოწვეული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს, რომ ისინი იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტები სრულად არ იცნობენ კონკრეტული საგნის სილაბუსში მოცემულ შეფასების კრიტერიუმებს, აგრეთვე ქულების გასაჩივრების მექანიზმებს, სწორედ ამიტომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ეფექტური მიწოდება სტუდენტებისთვის, რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრებების საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

✓ დაწესებულებაში ვიზიტი;
✓ გასაუბრებები;
✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა;
✓ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა;
✓ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;
✓ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
✓ პრაქტიკის სილაბუსი.

კლასტერის საერთო რჩევები:

სტანდარტი 2.4 სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა ნიშნის გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო	X	☐	☐	☐

პროგრამა, VI საფეხური				
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

1. 3.სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვისუზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ან/და უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისაგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტები მუდმივად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ, არ მიუღიათ მონაწილეობა რაიმე საერთაშორისო პროექტში, რაც მიუთითებს დაწესებულების ვალდებულებაზე გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საჭიროების შემთხვევაში გააფორმოს მემორანდუმები იმისათვის, რომ გაზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა, რამდენადაც აღნიშნული საკითხის განხორციელება ძალზე მნიშვნელოვანია ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია წლების მიხედვით გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობის შესახებ, თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრს დროს, სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ იყვნენ მასში წარმოდგენილი, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა საშუალება პირისპირ გასაუბრებოდა იმ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთა ეფექტიანი ჩართულობა თვითშეფასების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფის პროცესში.

უნივერსიტეტში ვიზიტისა და ექსპერტებისთვის წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტში პრაქტიკულად არ ტარდება სამეცნიერო საქმიანობა, შესაბამისად, სტუდენტები მოკლებული არიან შესაძლებლობას აწარმოონ კვლევა და გაავრცელონ იგი უნივერსიტეტის ფარგლებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბაკალავრიატის/ მაგისტრატურის სტუდენტები არ არიან ჩართული კვლევით კომპონენტში, რაც ხარისხიანი განათლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამეცნიერო საქმიანობის, კონფერენციების, პროექტების, სემინარებისა და სხვა სახის ღონისძიებების რაოდენობა უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ დაწესებულებაში ვიზიტი;
- ✓ გასაუბრებები;
- ✓ რექტორის 27.02.2016 წლის No113 ბრძანება სტუდენტთა სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების, სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტების შესახებ;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

✓ 27.12.2017 წლის No497/S ბრძანება სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის შესახებ;
✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პოლიტიკა;
✓ სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობის მექანიზმები და სწავლის საფასურზე ხელმისაწვდომობა;
✓ სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები;
✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

პროგრამა 3.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.

სტანდარტი 3.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გაზარდოს გაცვლით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად.

კლასტერის საერთო რჩევები:

სტანდარტი 3.1 სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს უნივერსიტეტში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების რაოდენობა.

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	X	☐	☐

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი არის არჩევითი კომპონენტი. უნივერსიტეტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, რომლებიც ხელმძღვანელობენ სტუდენტებს საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომების მომზადების პროცესში. წარდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები არასრულად არის შედგენილი მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, და წარმოდგენილ ნაშრომებში არ არის დაცული ციტირების წესი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ნაშრომების მომზადების პროცესში.

საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომებში მცირე რაოდენობის ინგლისურენოვანი წყაროებია გამოყენებული, ამიტომ თანამედროვე და ღირებული ნაშრომის შესაქმნელად აუცილებელია ბოლო წლების უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურის ანალიზი.

უნივერსიტეტს გააჩნია პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა, რომლის გავლაც სავალდებულოა ყველა საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომისთვის. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დანერგოს პლაგიატის პროგრამული მოდული, რომელიც ასევე შეძლებს ხელოვნური ინტელექტის აღმოჩენას ნაშრომებში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	10
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	6
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	1,17
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ დაწესებულებაში ვიზიტი;
- ✓ გასაუბრებები;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები:

სტანდარტი 3.2 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა, ხელმძღვანელებთან ერთად, გაზარდოს კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომებში.

რჩევები:

სტანდარტი 3.2 სასურველია, უნივერსიტეტმა დანერგოს პლაგიატის პროგრამა, რომელიც ასევე გამოავლენს ხელოვნური ინტელექტის კომპონენტებს.

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება -	☐	X	☐	☐

სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური				

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური რესურსები დაკომპლექტებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, ეს უკანასკნელი შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობასა და შიდა რეგულაციებს. აკადემიური პერსონალის, რომელიც მოიცავს პროფესორებს, ასოცირებულ პროფესორებს და ასისტენტ პროფესორებს, შერჩევა გამჭვირვალეა და საკონკურსო გზით მიმდინარეობს, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ" და უნივერსიტეტის შიდა სახელმძღვანელო პრინციპებს.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია ზედმიწევნით მოწმდება მათი როლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაც უზრუნველყოფს მაღალ სტანდარტებს სწავლების,

კვლევის და აკადემიური მოვალეობების სფეროებში. ეს კვალიფიკაციები დასტურდება სხვადასხვა აკადემიური მიღწევებით, მათ შორის სამეცნიერო სტატიებით, მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით ან სხვა სამეცნიერო ნაშრომებით, რომლებიც გამოქვეყნებულია რეცენზირებად ჟურნალებში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

გარდა აკადემიური პერსონალისა, სდასუ იწვევს კვალიფიციურ მოწვეულ ლექტორებს ან სპეციალისტებს, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ პროგრამებში. მოწვეული პერსონალის კომპეტენცია დასტურდება მათი შესაბამისი გამოცდილებით, ცოდნით და სპეციალიზებული უნარ-ჩვევებით, რომლებიც შეესაბამება პროგრამების კონკრეტულ სწავლის შედეგებს. ეს უზრუნველყოფს, სტუდენტების მიერ პრაქტიკული, რეალურ სამყაროსთან დაკავშირებული ცოდნის მიღებას, რომელიც შეავსებს მათ აკადემიურ გამოცდილებას და დაეხმარება საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის ჩართულობას პროგრამის განხორციელებაში ინსტიტუციის კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა სისტემატიურად იმართება სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის მეშვეობით. ეს სქემა ანაწილებს დავალებებს თითოეული თანამშრომლის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მიხედვით, რაც მოიცავს სწავლების, კვლევის, კონსულტაციებისა და პროგრამის განვითარების საქმიანობას. პედაგოგიური და კვლევითი მოვალეობების ბალანსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობას და ხარისხს.

სდასუ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური აფილირების წესები და პირობები, რომლებიც მიზნად ისახავს ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის შექმნას უნივერსიტეტსა და მის პერსონალს შორის. აფილირების ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ აკადემიურ პერსონალს შეუძლია თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება სდასუ- ს სახელით, ამასთანავე იგი იღებდეს სრულ მხარდაჭერას უნივერსიტეტისგან რესურსებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, სარგებლობს იმ აკადემიური შედეგებით და სამეცნიერო კვლევებით, რომლებსაც მისი აფილირებული პერსონალი ქმნის.

სდასუ-ს თითოეული პროგრამის ხელმძღვანელი შეირჩევა მათი მნიშვნელოვანი ცოდნის, გამოცდილებისა და შესაბამის სფეროში კომპეტენციის საფუძველზე. ისინი აქტიურ როლს ასრულებენ არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვაში, არამედ მის შეფასებასა და განხორციელებაში. მათი ხელმძღვანელობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პროგრამების აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აქტუალობის შენარჩუნებისათვის, რადგან მუდმივად მუშაობენ იმისათვის, რომ საგანმანათლებლო შედეგები შეესაბამებოდეს მიმდინარე აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. მათ მიერ უმაღლესი განათლების სექტორში წლების განმავლობაში დაგროვილი კომპეტენციები უზრუნველყოფს სწავლების გარემოს შეუფერხებელ ფუნქციონირებასა და მუდმივ გაუმჯობესებას. ერთობლიობაში, სდასუ-ს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე გუნდი ქმნიან დინამიურ და მოწესრიგებულ ეკოსისტემას, რომელიც ხელს უწყობს აკადემიურ პროცესებსა და ინოვაციებს.

საბოლოო ჯამში, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს კვალიფიციური და კარგად კოორდინირებული პროფესიონალების გუნდი. ინსტიტუციის სტრუქტურირებული მიდგომა სამუშაო დატვირთვის მართვაში, პერსონალის განვითარებასა და პროგრამის ხელმძღვანელობაში უზრუნველყოფს ყველა პროგრამის ეფექტურ განხორციელებას და აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების უმაღლეს სტანდარტებს.

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამებს სჭირდება გაუმჯობესება, რაც იმის თქმის საფუძველ სიძლევა, რომ პროგრამის ადამიანური რესურსები გაუმჯობესებას საჭიროებს. ამისათვის, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ყურადღებით უნდა დაგეგმოს თანამშრომლების და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის გაძლიერებული მეთოდების დაუფლებაზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 25 პირი: მათ შორის 5 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი პროფესორი და 6 მოწვეული პერსონალი (4 აფილირებული პროფესორი, 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტი პროფესორი). მათ ყველას გააჩნიათ საჭირო კომპეტენცია პროგრამის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

მოწვეული პერსონალი)			ხარისხის მქონე პერსონალს [8]	
სულ აკადემიური პერსონალი	25	10		10
- პროფესორი	5	5		4
- ასოცირებული პროფესორი	13	5		5
- ასისტენტ–პროფესორი	1	1		1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	6	3		–
სამეცნიერო პერსონალი				–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 18 პირი: მათ შორის 4 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი პროფესორი და 4 მოწვეული პერსონალი (3 აფილირებული პროფესორი, 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტი პროფესორი). მათ ყველას გააჩნიათ საჭირო კომპეტენცია პროგრამის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[8] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

მოწვეული პერსონალი)			ხარისხის მქონე პერსონალს [9]	
სულ აკადემიური პერსონალი	18	18	14	7
- პროფესორი	4	4	4	3
- ასოცირებული პროფესორი	9	9	6	3
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	4	4	3	–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ სდასუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ✓ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV- ები;
- ✓ ადმინისტრაციული პერსონალის CV- ები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/
- ✓ გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სტანდარტი 4.1 სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამები საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც საფუძველს იძლევა ითქვას, რომ პროგრამის ადამიანური რესურსი საჭიროებს დახვეწას, რისთვისაც უსდ-მ უნდა დაგეგმოს თანამშრომლებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდებზე.

[9] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაადგინა სამაგისტრო პროგრამებში ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების მკაფიო და გამჭვირვალე საკვალიფიკაციო კრიტერიუმები. ეს მოთხოვნები შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და მორგებულია კონკრეტული პროგრამების აკადემიურ მოთხოვნებსა და უნიკალურ მახასიათებლებზე. ხელმძღვანელები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სტუდენტების კვლევით მუშაობაში, ისინი უზრუნველყოფენ, რომ სადისერტაციო ნაშრომების აკადემიური სიმკაცრე და ხარისხი შეესაბამებოდეს დაწესებულების მაღალ სტანდარტებს.

ხელმძღვანელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია ასახავს იმ უმაღლეს აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებს, რომლებიც საჭიროა სამაგისტრო დონის კვლევის ხელმძღვანელობისთვის. ხელმძღვანელები უნდა ფლობდნენ უახლეს ცოდნას მათი ექსპერტიზის სფეროში, და მათი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს მათი აქტიური მონაწილეობით უახლეს სამეცნიერო კვლევებში ან შესაბამის შემოქმედებით საქმიანობაში. გასული ხუთი წლის განმავლობაში, თითოეულ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შექმნილი სამეცნიერო ნაშრომი, მაგალითად რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები ან, შემოქმედებითი დარგების შემთხვევაში, შემოქმედებითი ან საშემსრულებლო პროექტები. ეს კვალიფიკაციები უშუალოდ დაკავშირებულია იმ სამაგისტრო ნაშრომის საერთო თემასა და მიმართულებასთან, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, რაც იმის გარანტია, რომ მათ შეუძლიათ სტუდენტებისთვის სიღრმისეული მეთოდოლოგიური მხარდაჭერის გაწევა.

ხელმძღვანელის მოვალეობები

ხელმძღვანელებს არა მხოლოდ საჭირო აკადემიური კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეთ, არამედ ხელმძღვანელობის პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ, რაც ითვალისწინებს მათი დარგის სწრაფად ცვლად ბუნებასთან შესაბამისობას. ხელმძღვანელის როლი მოიცავს სტუდენტებისთვის რჩევების მიცემას მათი კვლევის თემებზე, მეთოდოლოგიაზე და სადისერტაციო ნაშრომის საერთო განვითარებაზე. ამ ჩართულობით სტუდენტები იღებენ აქტუალურ, თანამედროვე ინფორმაციას, და ემზადებიან იმისთვის, რომ საკუთარ დარგში თავადაც შეიტანონ აკადემიური და პროფესიული წვლილი.

ხელმძღვანელების როლი აგრეთვე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი უზრუნველყოფენ კვლევითი პროექტების შესაბამისობას დარგში მიმდინარე ტენდენციებთან და უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებთან. ხელმძღვანელებს ასევე ევალებათ კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება კვლევის მთელი პროცესის მანძილზე; ამ უკუავშირის დახმარებით სტუდენტები შეძლებენ საკუთარი ნაშრომის საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანას, რაც უზრუნველყოფს, რომ საბოლოო სადისერტაციო ნაშრომი არა მხოლოდ რელევანტური იქნება, არამედ დიდ წვლილს შეიტანს ფართო აკადემიურ დიალოგში.

თანახელმძღვანელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

იმ შემთხვევებში, სადაც საჭიროა თანახელმძღვანელობა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა მკაცრი საკვალიფიკაციო მოთხოვნები თანახელმძღვანელებისთვის. ხელმძღვანელების მსგავსად, თანახელმძღვანელებიც უნდა ფლობდნენ უახლეს ცოდნას შესაბამის სფეროში, აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო ან

შემოქმედებით კვლევაში და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეთ ნაშრომი ან პრაქტიკული პროექტი, რომელიც შეესაბამება სტუდენტის სადისერტაციო ნაშრომის თემას. ალტერნატიულად, თანახელმძღვანელებმა უნდა წარმოაჩინონ შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რომელიც შეესაბამება სტუდენტის სადისერტაციო ნაშრომის თემასა და მიმართულებას. ეს მოქნილობა საშუალებას აძლევს ინსტიტუციას, აკადემიური ხელმძღვანელობის პროცესში შეიტანოს რეალურ სამყაროსთან დაკავშირებული ექსპერტიზა, განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც პრაქტიკული გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი და ხელოვნება.

თანახელმძღვანელებს სტუდენტის კვლევაში დამატებითი პერსპექტივები და სპეციალიზებული ცოდნა შეაქვთ, რაც ავსებს ხელმძღვანელის როლს. ეს თანამშრომლობითი მიდგომა ხელს უწყობს იმას, რომ სტუდენტებმა მაქსიმალურად გამოიყენონ მრავალფეროვანი ექსპერტიზა, რაც აუმჯობესებს მათი კვლევითი პროექტების ხარისხსა და სიღრმეს. თანახელმძღვანელების ჩართვა განსაკუთრებით სასარგებლოა ინტერდისციპლინურ კვლევაში ან იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტის სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ახლადდამკვიდრებულ სფეროებს, რომლებსაც სჭირდებათ რამდენიმე საგნის ექსპერტის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა.

პროგრამის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობები

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამის სფეროში გამოცდილების მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ეს პირი პასუხისმგებელია ნაშრომის აკადემიურ შინაარსზე, რაც უზრუნველყოფს, რომ პროგრამა აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო მასალებით და შეესაბამება ინსტიტუციის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს. თუ პროგრამას რამდენიმე ხელმძღვანელი ჰყავს, ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს კოორდინატორი, რომელიც აკონტროლებს სასწავლო გეგმის შეუფერხებელ განხორციელებას და უზრუნველყოფს პროგრამის მიწოდების თანმიმდევრულობას.

პროგრამის ხელმძღვანელის ან კოორდინატორის მოვალეობებში ასევე შედის სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რჩევების მიცემა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ოპტიმალური დაგეგმვის საკითხებში და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. გარდა ამისა, ისინი თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის შეფასებისა და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამა მორგებულია სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე. აღნიშნული როლი გულისხმობს რეგულარულ ურთიერთობას დეკანატთან, უნივერსიტეტის დეპარტამენტებთან და გარე პარტნიორ ორგანიზაციებთან, რაც ხელს უწყობს პროგრამის მართვის ინტეგრირებულ მიდგომას.

მაგისტრანტთა მხარდაჭერა

როგორც ხელმძღვანელები, ისე თანახელმძღვანელები უაღრესად მნიშვნელოვანნი არიან მაგისტრანტთა აკადემიური წარმატებისთვის. ისინი მუდმივად უჭერენ მხარს სტუდენტებს კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში - თემის შერჩევიდან სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო დაცვამდე. უსდ უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ხელმძღვანელს ჰქონდეს საჭირო აკადემიური და პროფესიული საფუძველი იმისთვის, რომ სტუდენტებს ეფექტური მეთოდოლოგიური მხარდაჭერა გაუწიოს, ხოლო თანახელმძღვანელებს დამატებითი ექსპერტიზა შეაქვთ კვლევითი გამოცდილების გასამდიდრებლად.

უფრო მეტიც, ხელმძღვანელები ჩართული არიან სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებაში, უზრუნველყოფენ ეთიკური კვლევითი სტანდარტების დაცვასა და მათ პროფესიულ ზრდას. თანახელმძღვანელები, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც მდიდარი პროფესიული გამოცდილება აქვთ, ძირითადად ეხმარებიან სტუდენტებს აკადემიური თეორიების რეალურ სიტუაციებში გამოყენებაში, რითაც ერთმანეთთან აკავშირებენ თეორიულ კვლევასა და პრაქტიკულ გამოყენებას.

დასკვნის სახით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელებისთვის ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ეს კვალიფიკაციები უზრუნველყოფს, სტუდენტების მიერ მაღალხარისხიანი მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიღებას გამოცდილი პროფესიონალებისგან, რომლებიც აქტიურად მოღვაწეობენ თავიანთ დარგებში. აკადემიური გარემოს მხარდაჭერის გაძლიერებით, უსდ თავის მაგისტრანტებს წარმატებისთვის ამზადებს, აღჭურვავს რა მათ იმ უნარებით, ცოდნითა და ექსპერტიზით, რომლებიც მათ სჭირდებათ აკადემიურ და პროფესიულ კარიერაში წარმატების მისაღწევად.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს სამაგისტრო ნაშრომები, სადაც მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები კვალიფიციურები არიან და მოთხოვნები შეესაბამება სტანდარტებს, თავად ნაშრომები მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს. ამიტომ, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა უფრო მეტი უნდა იმუშაონ სტუდენტებთან უკეთესი ნაშრომის მოსამზადებლად, ხოლო კვლევის მეთოდოლოგია მკაფიოდ უნდა იყოს ასახული ნაშრომში პროგრამის დონის შესაბამისად.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

		დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [10]	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	10	10	7
- პროფესორი	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	3	3	_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ სდასუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ✓ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV- ები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/
- ✓ გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები:

სტანდარტი 4.2 რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა გააძლიერონ მუშაობა სტუდენტებთან, რათა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ნაშრომების მომზადება. ამასთან,

[10] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

სამაგისტრო დონის შესაბამისად, ნაშრომებში მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგია.

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სდასუ აქტიურად ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების გამოკითხვებს, რის შედეგებსაც პროგრამებისა და მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის იყენებს. შეფასების პროცესი მოიცავს სწავლების, კვლევისა და შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობის შეფასებას. შეფასების ეს შედეგები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წინსვლისთვის, რაც აკადემიურ პერსონალს უზრუნველყოფს მიზნობრივი მხარდაჭერით მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივას თავისი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პერსონალის. ეს განვითარება მოიცავს მონაწილეობას საერთაშორისო კვლევით პროექტებში, კონფერენციებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში. სდასუ უზრუნველყოფს საჭირო მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს პერსონალის სამეცნიერო, კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვის ხელშესაწყობად, რაც ხელს უწყობს როგორც ინსტიტუციურ, ისე ინდივიდუალურ აკადემიურ ზრდას.

სდასუ-მ შეიმუშავა შიდა საგრანტო დაფინანსებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის წესები, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობის გამჭვირვალობას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი სახელმძღვანელო პრინციპების მეშვეობით. შიდა სამეცნიერო-კვლევითი გრანტებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის კონკურსები იმართება კონკურენტული კვლევითი გარემოს სტიმულირების, კვლევის საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციისა და ახალგაზრდა მკვლევართა ჩართვით სამეცნიერო პოტენციალის განვითარების მიზნით. უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს „სპექტრი", რომელიც უფასო პუბლიკაციის შესაძლებლობას აძლევს აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ მეცნიერებსა და დოქტორანტებს, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური პროდუქციის საერთაშორისო ხილვადობისა და ციტირების ინდექსირების გაზრდას.

აკადემიური განვითარების მხარდასაჭერად, სდასუ აფინანსებს სტატიების გამოქვეყნებას მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, რაც აძლიერებს აკადემიური პერსონალის კვლევების საერთაშორისო აღიარებას. უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს ტრენინგებს სხვადასხვა თემაზე, მათ შორის: ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომა, პუბლიკაციის სტრატეგიები მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, აკადემიური კეთილსინდისიერება და საგრანტო დაფინანსების მოპოვება. ეს ინიციატივები იმ მნიშვნელოვან ცოდნასა და უნარებს შესძენს პედაგოგებსა და დოქტორანტებს, რაც გააუმჯობესებს მათ კვლევებსა და პუბლიკაციებს.

მაგისტრანტები მუდმივ მხარდაჭერას იღებენ მათი სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრიდან, როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ კონსულტაციების გზით. ეს კონსულტაციები ფოკუსირებულია სამაგისტრო ნაშრომების მომზადებაზე, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაზე და შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალების იდენტიფიცირებაზე პუბლიკაციებისთვის. სდასუ ასევე ეხმარება სტუდენტებს კვლევითი გრანტების მოძიებასა და კვლევის კომერციალიზაციის შესაძლებლობებში, სახელმწიფო და კერძო სექტორებთან თანამშრომლობის გზით.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევის შედეგების ინტეგრაციას საგანმანათლებლო პროგრამებში; ეს ხდება ორიგინალური კვლევის საფუძველზე შექმნილი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების დამატებით განახლებულ სასწავლო კურსებსა და სილაბუსებში. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მიღწევებსა და თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიებს, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას მოწინავე კვლევებში.

ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისთვის, სდასუ ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულს, სადაც იბეჭდება კვლევითი თეზისების კრებული. საუკეთესო ნაშრომები წარმოდგენილია სპექტრის სპეციალურ

გამოშვებაში. დამატებით, სდასუ მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და მაგისტრანტთა ხელმძღვანელების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში, თუმცა ამ საქმიანობაში ჩართულობის მიმდინარე მაჩვენებელი დაბალია.

ვიზიტების დროს ჩვენ ვკითხეთ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს გრანტებთან დაკავშირებით, მაგრამ არავის დაუდასტურებია, რომ მიუღია გრანტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ სდასუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ✓ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV- ები;
- ✓ ადმინისტრაციული პერსონალის CV- ები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/
- ✓ გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

სტანდარტი 4.3 სასურველია დაწესებულებამ გაზარდოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო აქტივობებსა და კვლევით პროექტებში.

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება -	X	☐	☐	☐

საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური				
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სდასუ უზრუნველყოფს, მისი საგანმანათლებლო პროგრამების აუცილებელი საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით აღჭურვას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად. ეს რესურსები მუდმივად განახლებადია მიმდინარე აკადემიური და დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სილაბუსებში მითითებულ ძირითად ლიტერატურას, აგრეთვე დამხმარე სასწავლო მასალებს, მათ შორის ელექტრონულ რესურსებს, რაც დამატებით ეხმარება სტუდენტებს სასწავლო მიზნების მიღწევაში.

სტუდენტებს აქვთ წვდომა თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალებთან, ციფრულ რესურსებთან და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებთან. ეს მათ საშუალებას აძლევს იყვნენ ინფორმირებული თავიანთი დარგის უახლესი სამეცნიერო მიღწევების შესახებ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ეს რესურსები ადვილად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის, რაც ქმნის ღია და მხარდამჭერ აკადემიურ გარემოს.

სდასუ-ს სასწავლო სივრცეები კარგად არის აღჭურვილი და მოიცავს სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, პერსონალის ოთახებს, ლაბორატორიებს, კომპიუტერულ ცენტრებს, საკონფერენციო დარბაზებს, ტელევიზიის სტუდიას (მაუწყებლობა FullHD ხარისხში Silk TV- ზე, Magticom- ზე, myvideo.ge- სა და SDASU.tv- ზე), რადიო სტუდიას და სპორტულ დარბაზს. ეს სივრცეები აღჭურვილია საჭირო მოწყობილობებითა და მასალებით,

რომლებიც მორგებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებზე. ყველა აუდიტორია აღჭურვილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, თუ პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს უსაფრთხო და ხელსაყრელ სასწავლო გარემოს. ძირითადი სივრცეები მოიცავს ფოიეს, სასწავლო აუდიტორიებს, პერსონალის ოთახებს, მოსასვენებელ სივრცეებს, ადმინისტრაციულ საწყობებს, არქივებს, ჯგუფური მუშაობის სივრცეებს, სანიტარულ კვანძებს, ბიბლიოთეკას, პრეს-კლუბს, კვლევით ლაბორატორიებსა და კვების პუნქტს. უძრავი ქონების ხელშეკრულებები იურიდიულად რეგისტრირებულია შესაბამისი რეგულაციების დაცვით.

ტექნოლოგიური და ციფრული რესურსების თვალსაზრისით, სდასუ კარგადაა აღჭურვილი კომპიუტერებით, ლეპტოპებით, პროექტორებით, პრინტერებით, ტელევიზორებით, პროფესიული კამერებით, რადიო და უსადენო მიკროფონებით, აუდიო და ვიდეო მიქსერებით, ფოტოასლგადამღებით, სკანერებით, სამეთვალყურეო კამერებით, სერვერებით, Wi-Fi მოდემებით, როუტერებით და სხვა აუცილებელი მოწყობილობებით. ეს უზრუნველყოფს, რომ როგორც სტუდენტებს, ასევე პერსონალს გააჩნიათ საჭირო ინსტრუმენტები იმისთვის, რომ ეფექტურად ჩაერთონ ცოცხალ და დისტანციურ სასწავლო გარემოში.

ბიბლიოთეკა სთავაზობს სასიამოვნო სასწავლო გარემოს, რომელიც აღჭურვილია პუფებით, ყავის მაგიდებით, მოსაცდელი სკამებით, მინის მაგიდებით, საოფისე სკამებით და წიგნის თაროებით. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ სპეციალური სამკითხველო დარბაზებით, სამუშაო სივრცეებით, კომპიუტერული სადგურებით, ფოტოასლგადამღებებით და პრინტერებით. ბიბლიოთეკის ფონდი შედგება 25,000-ზე მეტი ბიბლიოგრაფიული ერთეულისგან ფიზიკურ ფორმატში, და სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია საერთაშორისო საბიბლიოთეკო კოლექციები.

სდასუ უზრუნველყოფს სტუდენტების სრულ ინფორმირებულობას ამ რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ. სტუდენტები იცნობენ რესურსების ეფექტურად გამოყენების ინსტრუქციებს. ინსტიტუციის მატერიალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა, აგრეთვე პერსონალი, ხელს უწყობს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

თუმცა, უნივერსიტეტს ამჟამად არ გააჩნია ინოვაციების ან მეწარმეობის ჰაბი, რომელიც მხარს დაუჭერდა ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც შეიძლება ინოვაციური კურსების შემოღების საფუძველი გახდეს. ამასთან, იგრძნობა ისეთი თანამედროვე საგანმანათლებლო კურსების ნაკლებობა, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა ანალიტიკა — ანუ, ის სფეროები, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება

თანამედროვე ბიზნესის განათლებისთვის. ინოვაციების ჰაბის შექმნა შეიძლება ღირებული ნაბიჯი იყოს ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სრულად არის აღჭურვილი სდასუ- ს მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ამ რესურსების ხელმისაწვდომობისა და მათი ეფექტიანი გამოყენების შესახებ. სდასუ- ს და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა სრულად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნოლოგიები პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად, პროექტების პრეზენტაციების ჩათვლით. სდასუ ტელევიზიის საშუალებით, სტუდენტები თანამშრომლობენნ ჟურნალისტიკის ფაკულტეტთან და ერთად აშუქებენ თანამედროვე ბიზნესის თემებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

სამაგისტრო პროგრამა ასევე აღჭურვილია ვრცელი საბიბლიოთეკო და ტექნიკური რესურსებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სთავაზობს სილაბუსებში მითითებულ ფიზიკურ და ციფრულ მასალებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკის პერსონალი ეხმარება სტუდენტებს მასალების მოძიებასა და უახლესი გამოცემების მოპოვებაში. ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსი ადვილად ხელმისაწვდომია, და სტუდენტები სრულად არიან ინფორმირებულნი მათი მოპოვებისა და გამოყენების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ სდასუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ✓ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ ადგილზე ვიზიტი;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/
- ✓ გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რჩევები:

სტანდარტი 4.4 სასურველია უნივერსიტეტამ შექმნას ინოვაციებისა და მეწარმეობის ჰაბი/ლაბორატორია ტრანსფერული უნარების განვითარების მხარდასაჭერად, რაც საფუძვლად დაედება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში ინოვაციური კურსების დანერგვას.

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	X	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიუჯეტი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთო ფინანსური გეგმის მნიშვნელოვანი

კომპონენტია. იგი უზრუნველყოფს აუცილებელ ფინანსურ რესურსებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი განხორციელებისათვის. ეს ბიუჯეტი ფარავს ყველა არსებით ხარჯს, მათ შორის პროგრამებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, პერსონალის ხელფასებსა და სხვადასხვა საოპერაციო ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ფაკულტეტის ბიუჯეტი შეადგენს 1,411,217 ლარს, ხარჯები - 671,586 ლარს, ნაშთი - 739,636 ლარს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

პროგრამის ბიუჯეტის შემოსავალი შეადგენს 423,627 ლარს, ხარჯები - 201,609 ლარს, წმინდა ნაშთი - 222,039 ლარს.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა ბიუჯეტის სისწორეში. ასევე, მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტში ბევრი დაფარული ხარვეზია. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ სტუდენტების რაოდენობა არ შეეფარდება პროგრამას.

თუმცა ჩანს, რომ ბიუჯეტის მიხედვით არ ვლინდება, რომ პროგრამას შეიძლება ფუნქციონირების პრობლემა შეექმნას, სტუდენტების რაოდენობისა და სწავლის გადასახადის მიხედვით, შეუძლებელია, რომ ბაკალავრიატის ბიუჯეტის შემოსავალი იყოს 423,627 ლარი, რადგან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა 50-ია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

პროგრამის ბიუჯეტის შემოსავალი შეადგენს 112,615 ლარს, ხარჯები - 53,594 ლარს, წმინდა ნაშთი - 222,039 ლარს.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა ბიუჯეტის სისწორეში. ასევე, მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტში ბევრი დაფარული ხარვეზია. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ სტუდენტების რაოდენობა არ შეეფარდება პროგრამას.

თუმცა ჩანს, რომ ბიუჯეტის მიხედვით არ ვლინდება, რომ პროგრამას შეიძლება ფუნქციონირების პრობლემა შეექმნას, სტუდენტების რაოდენობისა და სწავლის გადასახადის მიხედვით, შეუძლებელია, რომ მაგისტრატურის ბიუჯეტის შემოსავალი იყოს 112,615 ლარი, რადგან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა 6-ია.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ბიუჯეტის დაგეგმვის ადეკვატური მეთოდოლოგია და მოამზადოს პროგრამებისთვის უფრო რეალისტური ბიუჯეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ სდასუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ✓ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;

- ✓ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/
- ✓ გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სტანდარტი 4.5 რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და გადახედოს პროგრამების ბიუჯეტებს.

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არსებული შიდა რეგულაციების საფუძველზე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაცია და დამსაქმებლები) ჩართულობას პროგრამის ხარისხის შეფასებაში. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტი ატარებს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვებს, ასევე აანალიზებს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებებს.

2024 წლის მარტში, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციისა და თვითშეფასების მოსამზადებლად, შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ფაკულტეტის ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, პროგრამების ხელმძღვანელები, აფილირებული აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. აირჩიეს თვითშეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი. დავალებები გადანაწილდა ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის ხელმძღვანელმა კოორდინაცია გაუწია თვითშეფასების პროცესს. ჯგუფის წევრებს კონსულტაციას უწევდა სდასუ- ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სამუშაო ჯგუფის მიერ შეგროვებული ინფორმაციის გადამოწმებისა და სისტემატიზაციისთვის, შედგა შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის დეკანის აპარატთან და დამსაქმებლებთან. აღნიშნული შეხვედრები აისახა ოქმებში. პროცესს კოორდინირებას უწევდა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი. თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია განხილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე სდასუ- ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარსადგენად.

შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გასათვალისწინებლად, მაგალითად, ცვლილებები შევიდა ორივე პროგრამის სტრუქტურასა და სილაბუსებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში არ არის იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი სფეროები 1-ლი, მე-2 და მე-3 სტანდარტებისთვის. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების პროცესში უნივერსიტეტმა სრულად და ამომწურავად უნდა გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები, აგრეთვე დაგეგმოს გასაუმჯობესებელი სფეროებისთვის აქტივობები და ვადები, რათა განახორციელოს ადეკვატური SWOT- ანალიზი. თვითშეფასების ანგარიში უფრო აღწერილობითი ხასიათისაა, ვიდრე ანალიტიკური. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი და ინსტიტუციის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები აღმოიფხვრა აკრედიტაციისთვის პროგრამების მომზადების პროცესში, და ამჟამად გასაუმჯობესებელი სფეროები აღარ არის იდენტიფიცირებული.

უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბოლოს განახლებული 2023 წლის იანვარში), რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მონაწილეობას პროგრამის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის ხელმძღვანელის/ კოორდინატორის პასუხისმგებლობების, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების პრინციპებისა და პროცედურების მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებენ უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა, პროგრამის დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან სხვა დაინტერესებული მხარეები (დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.). საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, და დადებითი შეფასების შემთხვევაში, წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან და უნივერსიტეტის რეგულაციებთან. თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოავლენს რაიმე სახის შეუსაბამობას, პროგრამა უბრუნდება ფაკულტეტის საბჭოს აღნიშნული ხარვეზების გასაუმჯობესებლად. თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადებით დასკვნას გასცემს, პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების" რეგულაციები (დამტკიცებული 2017 წელს). ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის, აგრეთვე მათი პროფესიული განვითარების შეფასებას. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა პასუხისმგებლობებს, რომლებმაც უნდა იმოქმედოს „დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე- იმოქმედე" პრინციპების მიხედვით. დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენების მნიშვნელოვანი ეტაპი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის მთავარი კომპონენტი ტარდება თითოეული აკადემიური წლის ბოლოს - ე.წ. SWOT-ანალიზი.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ იპოვა მტკიცებულება იმისა, რომ უნივერსიტეტი სრულად ახორციელებს „დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე- იმოქმედე" პრინციპს უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ან ატარებს SWOT- ანალიზს თითოეული აკადემიური წლის ბოლოს, როგორც ეს უნივერსიტეტის რეგულაციებშია მითითებული. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ იპოვა მტკიცებულება იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული/ დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაციისა და მათი სათანადო განხორციელების მექანიზმები/ ინსტრუმენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/en/about-us/#qas

✓ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
✓ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
✓ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
✓ შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
✓ ანალოგიურ ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამასთან შედარების დოკუმენტი
✓ სასწავლო პროცესის რეგულირება https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის რეგულაცია: https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
✓ სტუდენტთა მიღწევების/ ქულების მონიტორინგის შედეგები
✓ სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგების ანალიზი
✓ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზი
✓ შრომის ბაზრის კვლევა
✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების ინდიკატორები
✓ პერსონალის კვლევის შედეგების შეფასება
✓ სამუშაო ჯგუფების ოქმები
✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#development
✓ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
✓ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სტანდარტი 5.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამების თვითშეფასების პროცესებში სრულად და ამომწურავად გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე დაგეგმოს აქტივობები და ვადები გასაუმჯობესებელი სფეროებისთვის.

სტანდარტი 5.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სრულად დანერგოს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპი ყოველდღიურ საქმიანობაში და ჩაატაროს SWOT ანალიზი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, როგორც ეს უნივერსიტეტის რეგულაციებშია მითითებული.

სტანდარტი 5.1 რეკომენდებულია ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების/ინსტრუმენტების შემუშავება, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირების უზრუნველყოფა და მათი სათანადოდ განხორციელება.

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	☐	X	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	☐	X	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სდასუ- ს ძირითადი გარე შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული აკრედიტაცია და

ავტორიზაცია. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული პროგრამის აკრედიტაცია წარმოადგენს პროგრამის შეფასებას, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისობას ეროვნულ აკრედიტაციის სტანდარტებთან. 2018 წლის 18 ივლისს აკრედიტაცია მიენიჭა „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამას, ხოლო 2019 წლის 13 ივნისს - „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამას. 2018 და 2019 წლის წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების უმეტესობა იქნა გათვალისწინებული. დამატებით, 2020 წელს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აღსანიშნავია, რომ წინა აკრედიტაციის დროს გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია პროგრამის განახლებისას არ იქნა გათვალისწინებული. მაგალითად, 2018 წლის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისას ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო უნდა გამხდარიყო. თუმცა, ეს რეკომენდაცია აკრედიტაციისათვის წარმოდგენილ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული.

გარე ხარისხის შეფასების კიდევ ერთ ინსტრუმენტად უნივერსიტეტი იყენებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს. 2023 წელს საქართველოში შემუშავებული და მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების ეროვნული დარგობრივი მახასიათებელი საფუძვლად დაედო პროგრამის შემუშავებასა და ხარისხის შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამების გარე კოლეგიალური ურთიერთშეფასება არ განხორციელებულა უცხოელი ექსპერტების მიერ. პროგრამების გარე კოლეგიური ურთიერთშეფასება უცხოელი კოლეგებისა/ დარგის სპეციალისტების მიერ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, არამედ უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებისთვისაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

✓ საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში (შეფასების თარიღები: 2018 წლის 30 აპრილი - 2018 წლის 1 მაისი.)

✓ საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში (შეფასების თარიღები: 2019 წლის 21 მაისი, ანგარიშის წარდგენის თარიღი: 2019 წლის 10 ივნისი)

✓ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება (MES 5 20 0000599366; 14/07/2020) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების პროცესის შეწყვეტის შესახებ.

✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ინიცირებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში, 2020 წ.

✓ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

✓ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

პროგრამა 5.2 რეკომენდებულია პროგრამული აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გათვალისწინება.

სტანდარტი 5.2 რეკომენდებულია პროგრამების გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფა როგორც უცხოელი კოლეგების, ასევე უცხოელი/ადგილობრივი დარგის პროფესიონალების მხრიდან.

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	X	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების,

დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგის მიზნით, დაწესებულებამ ჩაატარა პერსონალის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა. წარმოდგენილი იქნა დასაქმების მაჩვენებლები - ამ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ჩატარდა დასაქმების მაჩვენებლების დასადგენად.

დაწესებულებამ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აკვირდება სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას/ შეფასებებს. ინსტიტუტმა ასევე შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დამტკიცებული 27.12.2003 წ.). თუმცა, ამ რეგულაციაში მითითებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება არ განუხორციელებია. პროგრამების ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გაატაროს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმი.

დაწესებულებაში მიღებულია აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცებული 27.12.23 წ.). ამ დოკუმენტის მიხედვით, დადგინდა აკადემიური პერსონალის 5- წლიანი სამეცნიერო საქმიანობისა და 3- წლიანი აქტივობის ქულები. მაქსიმალური ქულების რაოდენობა შეადგენს 100- ს. 5 წლიანი საქმიანობისთვის მინიმალური ქულაა 5, ხოლო ერთი წლის საქმიანობისთვის - 1 ქულა. ქულების მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა ფასდება როგორც დაბალი, საშუალო და მაღალი დონე.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ავსებს ყოველწლიურ თვითშეფასების კითხვარს, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო კომპონენტს. „აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმის" დოკუმენტში არ არის აღწერილი, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციის მიერ აკადემიური პერსონალის მაღალი, საშუალო, დაბალი კვლევითი საქმიანობის ან მინიმალური მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის 2029- 2023 წლების ანგარიშში მხოლოდ პერსონალის სხვადასხვა აქტივობების რაოდენობაა მითითებული. თითოეული თანამშრომლის კვლევითი საქმიანობა არ ფასდება არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

დაწესებულებამ სრულად და ეფექტიანად უნდა გაატაროს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და გამოიყენოს შეფასების შედეგები.

დამატებითი დოკუმენტაციის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცედურა და ბოლო ორი წლის შეფასების შედეგები. ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი დოკუმენტაცია ვერ მიიღო. შესაბამისად, ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ იპოვა მტკიცებულება იმის შესაფასებლად, თუ როგორ ახორციელებს უნივერსიტეტი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის შეფასებას. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნა ორივე პროგრამის შიდა და გარე შეფასების ანალიზის მოკლე საანგარიშო დოკუმენტი. ექსპერტებს გადაეცათ მსგავს უცხოურ პროგრამებთან შედარების/ბენჩმარკინგის დოკუმენტი დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად. გასაუბრებებისას აკადემიურმა პერსონალმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ბენჩმარკინგის დროს გათვალისწინებულ იქნა იტალიისა და ნიდერლანდების უნივერსიტეტების პროგრამები.

თუმცა, დოკუმენტი მიუთითებს რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის პროგრამებსა და სავალდებულო სასწავლო კურსებს, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მხოლოდ უცხოური პროგრამების აღწერას, იგი არ აანალიზებს, თუ რამდენად მსგავსი ან განსხვავებულია სდასუ-ს პროგრამები/კურსები მითითებული ანალოგებიდან. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა იმის არგუმენტები, თუ რატომ განისაზღვრა შერჩეული უნივერსიტეტები ანალოგად. ინსტიტუციამ უნდა ჩაატაროს მსგავსი უცხოური პროგრამების შედარება/ ბენჩმარკინგი და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა დანერგოს უნივერსიტეტში.

გასაუბრებებისას, აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასება ყოველ სემესტრში ხორციელდება. მათ აღნიშნეს, რომ სამაგისტრო პროგრამისთვის ასევე ფასდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. ადგილზე ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული დაკვირვების გამოყენებით. აღნიშნულ დაკვირვებას ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. თუმცა, მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნისა, ინსტიტუციამ ვერ წარმოადგინა შეფასების ანგარიშები ან/და სხვა დამხმარე მასალები იმის დასტურად, რომ ინსტიტუცია აფასებს ლექტორებს და ძირითად/სავალდებულო სასწავლო კურსებს სემესტრის ბოლოს, კვლევითი კომპონენტის განხორციელებას და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას/სამეცნიერო ხელმძღვანელობას. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ სტუდენტებმა შეაფასონ (კითხვარების ან სხვა საშუალებების მეშვეობით)

ძირითადი სასწავლო კურსი/ საგანი თითოეული კურსის ბოლოს. მაგისტრანტებმა უნდა შეაფასონ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელება, აგრეთვე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/en/about-us/#qas
✓ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
✓ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
✓ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
✓ შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
✓ ანალოგიურ ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამასთან შედარების დოკუმენტი
✓ სასწავლო პროცესის რეგულაციები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის რეგულაციები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#normative-bases
✓ სტუდენტთა მიღწევების/ ქულების მონიტორინგის შედეგები
✓ სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგების ანალიზი
✓ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზი
✓ შრომის ბაზრის კვლევა
✓ ურსდამთავრებულთა დასაქმების ინდიკატორები
✓ პერსონალის კვლევის შედეგების შეფასება
✓ სამუშაო ჯგუფების ოქმები
✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები https://sdasu.edu.ge/chven-shesakheb/#development
✓ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

✓ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია პროგრამების ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმი.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად და ეფექტურად განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგების გამოყენება.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმი.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებული დაწესებულებამ ჩაატაროს მსგავს უცხოურ პროგრამებთან შედარებითი/საორიენტაციო ანალიზი უნივერსიტეტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასანერგად.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია, სტუდენტებმა შეაფასონ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) ძირითადი საგანმანათლებლო კურსი / საგანი თითოეული კურსის ბოლოს.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია პროგრამამ უზრუნველყოს, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	☐	X	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება -	☐	☐	X	☐

სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური				

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	☐	☐	X	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	☐	☐	X	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სტანდარტი	შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შეფასების ადეკვატურობა	ინდივიდუალური მუშაობა		
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მუჰამედ აბდულ რაუფი,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ნაცვლიშვილი,

ეკა გეგეშიძე

ია ნაცვლიშვილი

ვაჟა ქელიხაშვილი